საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 3 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე [illegible] ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] ზე მეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე— 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № [illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 276 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 276

გულ-დათუთქულნი: მამა ერმილე, დედა ელისაბედ, ძმები: გიორგი და კონდრატი, და ვალენტინა ჯიბლაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარის

ელიზბარ ერმილეს ძე ჯიბლაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა სად. სამტრედიაში ამა წლის 30 ნოემბერს (ახ. სტ.). სამტრედიიდან გაასვენებენ ს. ჯაპანაში და დაკრძალავენ ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. (3157—1—1)

გულ-დათუთქულნი: კოსტა, პოლინე, პარმენ, ნადეჟდა და ანნა ჯიბლაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათთვის საყვარელის და დაუვიწყარის

ელიზბარ ერმილეს ძე ჯიბლაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას სად. სამტრედიაში, რომელიც მოხდა ამა წლის 30 ნოემბერს (ახ. სტ.). ცხედარი გასვენებული იქნება ს. ჯაპანაში და დაკრძალული ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. (3157—1—1)

ყარამან ივლიანეს ძე არონიშიძე და გერასიმე გრიგორის ძე პარონიანცი ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 29 ნოემბერს, დღის 1 საათზე უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი ყოფილი ხაზეინი

დავით ივანეს ძე ალგაშოვი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს, 4 დეკემბერს დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ბებუთოვის ქ. № 39) ჯიგრაშენის ეკლესიაში. დასაფლ. ხოჯევანქის სასაფლაოზე.

ჟურნალი

„ცისარტყელა“

გამოვა 20 დეკემბერს (პირველი ნომერი)

ვსთხოვთ მწერლებს დააჩქარონ მასალების გამოგზავნა, პირველი ნომრისთვის მასალები მიიღება 6 დეკემბრამდის. მისამართი: ელისაბედის ქ. № 200, რკ. გზის ცენტრ. კულტურულ განმანათლებელ კომისიას. ჟურნალ „ცისარტყელა“ სათვის.

(უფ. 3—1) სარედაქციო კოლეგია.

ზუბალაშვილის სახალხო თეატრი

ქართულ სამუსიკო საზოგადოების | ქართული | საქარ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის

საოპერო სტუდია

ორშაბათს, 8 დეკემბერს მართავს ოპერას

თქმულება შოთა რუსთაველზე

მუსიკა დ. არაყიშვილისა. (ნ. 3—1)

რაჭის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში

4 უბნის ექიმს, 2 ექიმის თანაშემწეს და 2 ბებია ქალს

სასოფლო საექიმო პუნქტებზე.

ექიმის ჯამაგირი 3500 მან., ექიმის თანაშემწისა—2000 მ., ბებია ქალის 1500 მ. მისამართი: ონი, რაჭის სამაზრო ერობის გამგეობას. (3—1)

## პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობა

პარტიული მუშაობა მოდუნდა. ამხანაგები სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში ჩაებენ და წმინდა პარტიულ მუშაობისათვის ან დრო აღარ აქვთ, ანდა სრულიად ივიწყებენ მას. ასეთი საყვედურები ისმის ყოველ მხრიდან, და ეს სამართლიანიცაა. რასაკვირველია სრული დაპირდაპირება პარტიული მუშაობისა და სახელმწიფო მოღვაწეობის ერთი მეორეზედ არა სწორი, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ერთს დარგში მუშაობა სავსებით მეორეს მაგივრობას გასწევს.

შემცდარი და დამღუპველი იქნება ის აზრი და ისეთი მოქმედება, რომელიც იმართული იქნება იქითკენ, რომ სახელმწიფო მოღვაწეობა და წმინდა პარტიული ერთ და იგივეთ გახადოს. ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ თავს იდო უდიდესი ისტორიული მისია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ თვით ისტორიამ დააკისრა მას უდიდესი და უმძიმესი ჯვარი. როდესაც საშინელმა ისტორიულმა გრიგალმა მთელი მსოფლიო ააფორიაქა და ძლიერეს სახელმწიფოთა აპარატი თანგრ-მოანგრია, ამ დროს ახლად წარმოშობილ სახელმწიფოს აშენება და მეთაურობა დაეკისრა ჩვენს პარტიას. სოციალ დემოკრატია იძულებული შეიქნა ეს მძიმე ტვირთი მიეღო. ამ პარტიამ მთელი თავის ძალები მისცა სახელმწიფოს. სხვაფრივ არც შეიძლებოდა. სახელმწიფო აპარატის უდიდესი ნაწილი დღეს ჩვენი პარტიული ამხანაგების ხელშია.

სახელმწიფო და საზოგადო საქმეთა სწორი წაძღოლა ეს თავისთავათ დიდი პარტიული საქმეა. სოციალდემოკრატია პასუხისმგებელია დღეს სახელმწიფოს მართვის საქმეში. თუ სოციალდემოკრატი ცუდი მინისტრი ან ნაკლები მოხელე გამოდგა, ამისთვის პასუხს მოსთხოვენ პირველ ყოვლისა სოციალდემოკრატიას. სახელმწიფოს ცუდათ წარმართვა დაამარცხებს და დამარხავს პარტიასაც; ამიტომ ის არ ზოგავს ძალას და მსხვერპლს ამ საქმის მოსაგვარებლათ. თუ სოციალდემოკრატიამ კარგათ მართა სახელმწიფო, ის ძლიერი პარტია იქნება. მაგრამ საქმე სწორეთ იმაშია, რომ სახელმწიფოს კარგათ წარმართვა მხოლოდ მაშინ შეეძლება მას, თუ ის იქნება ძლიერი პარტია. აქ პირველ შეხედვით თითქოს რაღაც არევაა—სადაა მიზეზი და შედეგი?! აქ არც მიზეზია და არც შედეგი. აქ ორივე ერთი მეორის მიზეზი და შედეგია. ძლიერი სოციალდემოკრატია სახელმწიფოს კარგათ წარმართავს, სახელმწიფოს კარგათ წარმართვა გააძლიერებს სოციალდემოკრატიას. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, თუ ვინმე იფიქრებს, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში, თუ გინდ თავდადებულ მუშაობას შეუძლია სავსებით გასწიოს პარტიული მუშაობის მაგიერობა. პარტია პირველ ყოვლისა უნდა არსებობდეს კანცელარიის გარეშე. ჩინებული მოხელე, სოციალდემოკრატი, თუ ის ჩამოშორდა პარტიულ ორგანიზაციასა და საქმიანობას, არის ყოფილი სოციალდემოკრატი. თუ ასეთმა მოვლენამ მასიური ხასიათი მიიღო, მაშინ ჩვენ გვეყოლება ყოფილ სოციალდემოკრატთა ბიუროკრატია და არა პარტია. სახელმწიფო კანცელარიები პარტიის მაგიერობას ვერ გასწევს, და თუ ვინმემ ამ კანცელარიებს ასეთი როლი დააკისრა, მაშინ სახელმწიფო საქმეც წახდება და პარტიაც გადაგვარდება. სახელმწიფო მოღვაწეობა და წმინდა პარტიული მუშაობა ერთდაიმავე საქმის ორი ორგანიული მხარეა, მათ შორის უნდა ჰარმონიული და შეწონილი ურთიერთობა არსებობდეს. ამ წონასწორობის დარღვევა, ორივეს დაღუპავს. მასიურ და ძლიერ პარტიას მოწყვეტილი სახელმწიფო აპარატი, მოწყვეტილია საერთოდ ხალხს, არ იცის მისი გულისთქმა, ვერ გრძნობს მის მაჯისცემას, ასეთი აპარატი ბიუროკრატიულია და მის მიერ წარმართული საქმეც სახიფათო ვერ წავა.

ჩვენ კი დღევანდელ პირობებში უეჭველათ გვემჩნევა, რომ პარტიულ მუშაობას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. ათასი რა საპასუხისმგებლო საქმე ჰქონდეს დაკისრებული ჩვენს ამხანაგს, მას უნდა ახსოვდეს, რომ ის სოციალდემოკრატია, პარტიის, ორგანიზაციის წევრია, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ არის თავისუფალი წმინდა პარტიულ მოვალეობისაგან. ეს კი ასე არ ხდება დღეს. ის ამხანაგები, რომლებიც პარტიამ წარგზავნა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში, თანდათან წყდებიან პარტიას, პარტია კი მათ და ეს კი საფრთხილო მდგომარეობას ქმნის. არ არის სოციალდემოკრატი ის, ვინც სრულიად არაფერს აქცევს წმინდა პარტიულ საქმისათვის. ავიღოთ თუ გინდ ჩვენი წესდების პირველი მუხლი. რომ ეს მუხლი პარტიამ ძალაში მოიყვანოს, უთუოდ ჩვენი ორგანიზაცია ცხრა მეათედს დაკარგავს, რადგან პარტიის წევრია ის, ვინც, სხვათა შორის, საწევრო გადასახადს იხდის. ამ საზომით რომ მივუდგეთ, პარტიის გარეშე დარჩება არა ერთი ასეული მეტათ პასუხისმგებელ ამხანაგებისა. რასაკვირველია საწევრო გადასახადის შეუტანლობა ეს დაუდევრობაა და არა მოვალეობისათვის განზრახ გვერდის ავლა. ეს წვრილმანია, წვეთია, მაგრამ ისეთი წვეთი, რომელშიაც იხატება და სახიერდება საერთოთ ჩვენი დაუდევრობა.

პარტიული მუშაობა მოდუნებულია. ეს ფაქტია. ჩვენი ამხანაგები თავდადებით მუშაობენ სახელმწიფო საქმეებში, ესეც უდავოა, უეჭველია ისიც, რომ ამით არა პირდაპირ პარტიას აძლიერებენ, მაგრამ ისინი წმინდა პარტიულ მუშაობას ივიწყებენ და მით არა მარტო პარტიას, არამედ სახელმწიფო საქმესაც ასუსტებენ.

მეტი ყურადღება პარტიულ მუშაობას. უკან, პარტიისაკენ! აი რას გვავალებს დღევანდელი მდგომარეობა.

## შენიშვნები

### VI

**ხუმარა ხალხი.**

ჭეშმარიტად დიდი ახირებული ხალხია „სახალხო საქმის“ რედაქციაში! რაც უნდა ცუდ გუნებაზე იყო—მათი წერილები მაინც გაგამხიარულებს იწყებენ კი მუდამ დიდი რიხით, მყვირალა სათაურით, სწორეთ ისე როგორც შეშვენის ო ო ოპოზიციას.

ამ ხელათ ნიშანშია ამოღებული მიწათმოქმედების სამინისტრო. ამ სამინისტროს საერთოდ ბევრი მტერი ყავს. ხომერიკი და მისი კანონი ყველას ენაზე აკერია. სხვაფრივ არც შეიძლება იყოს. ჩამორთმეული მიწები ჯერ კიდევ დიდხანს იქნება განგაშის მითქმა-მოთქმა იბიექტად.

„სახალხო საქმე“ მეორე მხრით უვლის სამინისტროს და თავის მოწინავეში ასეთ ღრმა აზრებს გამოსთქვამს: „ლამის არის მდინარეების მსხვერპლი შეიქნას ჩვენი ნოყიერი ადგილები: ამ წყლების, მათი კალაპოტების მომვლელი და დამცველი არავინ არის. ჩვენს რესპუბლიკაში არის საკმაოთ ვრცელი ჭაობიანი ადგილები, რომლის გაშრობა არამცთუ გააჯანსაღებს მთელ ხალხს, არამედ მოიტანს დიდძალ სურსათსაც ამ ჭაობებს სამინისტრო იცნობს. მის გაშრობას ექვსი თვის განმავლობაში გვპირდებოდა, მაგრამ მას შემდეგ რამდენიმე ექვსი თვე განვლეთ და ჭაობები ისევ გვალპობენ და გვახრჩობენ.“

რესპუბლიკის ჭაობების გაშრობა 6 თვეში! წყლების კალაპოტებში ჩაყენება ექვს თვეში! და როცა ამას სერიოზულათ ითხოვს „სახალხო საქმე“, მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ იქ ძალიან ხუმარა ხალხია თავმოყრილი. აბა, ექვი არაა, „სახალხო საქმე“ იმასაც მოითხოვს, რომ სამინისტრომ ყველა წყლების კალაპოტს მარმარილოს კედლები გაუკეთოს, შიგ ოქროს თევზები გააშენ-გაამრავლოს და ასე „დიდძალი სანოვაგე“ შესძინოს რესპუბლიკას!

„სახალხო საქმის“ რედაქციას რომ მართლა არ „ალპობდეს“ დაარ „ახრჩობდეს“ ოპოზიციის ჭაობი, მიხვდებოდა, რომ ჩვენი ჭაობების დაშრობა წლების საქმეა და არა თვეების.

„სახალხო საქმის“ რედაქციაში რომ ერთი ჭკვიანი კაცი მაინც იყოს, ამ სისულელისთვის სარედაქციო წერილის ავტორს ერთხელ მაინც აუწევდა ყურს და ასწავლიდა, რომ ასეთ საგნებზე ხუმრობა უადგილოა.

არა ნაკლები ხუმარა ხალხია „ვოზროჟდენიეს“ რედაქციაშიაც. მას აღარ მოსწონს ვერსალის კონფერენცია; თითქოს კიდევაც დარწმუნებულა მის უძლურებაში და უკანასკნელ მეთაურში თავის მკითხველებს ატყობინებს: Парижу не суждено возвѣстит ,,мир всѣму міру“. როცა ასეთი აზრი ჩვენ დიდი ხანია გამოვთქვით, მაშინ „ვოზროჟდენიეს“ წინაპრებმა ქვა და გუნდა მოგვაყარეს და ქვეყანას აუწყეს: სოციალისტები სამშვიდობო კონფერენციის გვერდს უვლიან და მით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობას საფრთხეში აგდებენო. ახლა კი თითქოს თვითონ დარწმუნებულა ვერსალის კონფერენციის უძლურებაში!

„ახლა“—ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენ არ გვაქვს არავითარი გარანტია „ვოზროჟდენიე“ ამ აზრს დიდხანს შერჩება, რადგან მას კვირაში შვიდი პარასკევი აქვს და რომელ პარასკევს მარხულობს— ეს „ივერიამაც“ კი არიცის.

მ რა ამის ცოდნა არც კია საჭირო, რადგან ყველამ იცის, რომ „ვოზროჟდენიე“ ახლაც ისე ხუმრობს, როგორც ყოველთვის...

* * *

**ჭუმპე.**

თუ „სახალხო“ ჭაობების გაშრობას ითხოვს, „ივერია“ თანდათან ეფლობა უზნეობის ჭაობში და შიგ ცურაობით მედიდურობს კიდეც. მან მთელი ქუჩის სიბინძურე და სიმყრალე თავის ფურცლებზე გადაიტანა და ასე თავის „სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას“ ენერგიულათ ეწევა. სწორეთ ამის შედეგია ის სტრიქონები, რომელიც ამშვენებს „ივერიის“ უკანასკნელ ნომერს: „ერთობას“ ავიწყდება, რომ ჩვენ მინისტრებს არა მარტო მომარაგებისა და საგარეო საქმეთა, არამედ ყველას, საკმაოთ მოფენილი აქვთ მაგიდა სურსათით და სხვა რამეთი (№ 17). ეს რომ ეთქვა ვინმე დამთვრალ მატროსს, გასაგები იქნებოდა. მარა როცა ამას ამბობს გაზეთი, ეს უტყუარი მაჩვენებელია „ივერიის“ და მისი ჯგუფის ზნეობრივი გახრწნისა. რომც იყოს ასე, მაშინაც კი არ იკადრებდა თქმას და დაწერას ცოტათ თუ ბევრათ რიგიანი და დარბაისელი გაზეთი. ჩვენ ვიცით ვინ თარეშობს „ივერიაში“, მარა ისიც ვიცით, რომ ამ ჯგუფში ურევიან ზოგი დარბაისელი მოღვაწეებიც და საინტერესოა ვიცოდეთ—ისინიც კვერს უკრავენ პრესის ასეთ წაბილწვას და გარყვნას და იღებენ სათანადო ზომებს?! განი.

## საქართველოს გარშემო

ჟურნალ „სიუის-ორიან“-ში, რომელიც შვეიცარიაში გამოდის, მოთავსებულია ცნობილ პუბლიცისტის, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ნიკ. რუსანოვის შემდეგი წერილი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ:

„ამ წერილში მე, რწმენით სოციალისტ-რევოლიუციონერს და ინტერნაციონალისტს მსურს შევეხო საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს და მის დამოკიდებულებას ყოფილ რუსეთის იმპერიასთან. ეს ძნელი საკითხია, საკითხი სინიდისისა ბევრ ჩემ თანამემამულეთა და პოლიტიკურ თანამოაზრეთათვის! ეს ასეა იმიტომ, რომ როგორც წაკითხულიდან და გაგონილიდან დავრწმუნდი, სოც. რევ. პარტიის ბევრი წევრები იქვიანობენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ცნობის შესახებ და კიდეც იბრძვიან მის წინააღმდეგ. პარტიის წევრთა შორის, როგორც სჩანს, არიან ისეთებიც, რომლებიც ყოველგვარი საშუალებით ებრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას თვით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მე ღრმათა მრწამს, რომ ეს ტაქტიკა გაუგებრობაზეა დამყარებული, რომ დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის საჭიროა შეთანხმება და თანამშრომლობა რუს და ქართველ სოციალისტებს შორის; ამიტომ ჩემ შეხედულებას ამ საკითხის შესახებ მე გამოვთქვამ მოურიდებლათ და სრულის პირდაპირობით. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო, რომ მე გამოვთქვამ მხოლოდ ჩემ კერძო აზრს, ვინაიდან ამ ჟამათ მე არ ვიცი ოფიციალური შეხედულება რუსეთის სოც.-რევ. პარტიისა, რომელსაც ბოლშევიკური ტირანია ნებას არ აძლევს მოიწვიოს პარტიული ყრილობა და აღადგინოს თავისი ცენტრალური კომიტეტი. მე მაინც ვბედავ აღვნიშნო, რომ ის, რასაც ვიტყვი, სავსებით გამომდინარეობს ჩვენი პარტიის პროგრამიდან.

უწინარეს ყოვლისა გადაჭრით უარყოფილ უნდა იქნეს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წამოყენებული ის მოსაზრებები, რომლებიც რამყარებულია რუსეთის, როგორც მთლიან და ცენტრალისტურ სახელმწიფოს წარმოდგენაზე; „დიდ რუსეთის“ იდეის დაცვა ისე, როგორც ეს სპეციფიური სახელი გულისხმობს, არ შეუძლია არც ერთ დემოკრატსა და გულწრფელ სოციალისტს. ჩვენ პარტიას—სოც.-რევოლიუციონერთა პარტიას, სამართლიანათ შეუძლია იამაყოს იმით, რომ მან რუსეთის სოციალისტურ პარტიებიდან პირველმა შეიტანა თავის პროგრამაში წმინდა ფედერალიზმის იდეა, რომელიც საუკეთესოდ შეეფერება ქვეყნის უზარმაზარ სივრცეს; ეს საუკეთესოთ შეეფერება რუსეთის იმპერიაში მობინადრე მრავალ რასათა ინტერესებს, რომელთაც აკავშირებდა ჩაგვრისა და ცენტრალიზმის პოლიტიკა.

ძლევა მოსილმა თებერვლის რევოლიუციამ დაარღვია ეს, უმთავრეს ნაწილათ ხელოვნური და დესპოტიზმზე დამყარებული მთლიანობა და სხვადასხვა ხალხებმაც, რომელთაც ცხოვრების უნარი შესწევდათ, წინ წამოაყენეს თავიანთი ნაციონალური ინტერესები, რაც სხვადასხვა ფორმაში—ავტონომიიდან სრულ დამოუკიდებლობამდე—გამოიხატებოდა. მაგრამ ბოლშევიკების გამოსვლამდე ყველა ეს ხალხები თავს იყრიდენ სრულიად რუსეთის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის იდეის გარშემო. ამ დროს დამფუძნებელ კრების იდეას სთვლიდენ სიმბოლოთ ახალ, თავისუფალ სახელმწიფოისა, რომელიც ხალხთა თავისუფალ შეთანხმებაზე იქნებოდა დამყარებული.

ეს შემოქმედებითი ხანა შეწყვეტილ იქნა ბოლშევიკურ კონტრ-რევოლიუციით, რომელიც, მიუხედავათ ლამაზ სიტყვებისა, სინამდვილეში რეაქციონური მოძრაობა იყო.

დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ ერთი დღე და იცოცხლა; იგი გარეკილ იქნა ბოლშევიკების მიერ.

დემოკრატიულ ფედერალიზმის იდეია ჩაახრჩვეს სისხლის მორევში. დაიბადა საერთო ლოზუნგი—„ვისაც შეგიძლია, თავს უშველე!“ და სხვადასხვა ხალხებიც შეეცადენ შეენარჩუნებიათ ყველაფერი ის, რის შენარჩუნებაც კი შეიძლებოდა; ისინი თავს იცავდნენ ე. წ. კომუნიზმის თავდასხმისაგან, რომელიც კიდევ უფრო ცენტრალისტური და დამმონავებელი იყო, ვინემ ცარიზმი!

საქართველოსთვის ბოლშევიზმისაგან თავდაცვის საქმეს ართულებდა მისი საგარეო მდგომარეობა: პატარა ერის თავზე ოსმალეთის სისხლის მსმელთა მახვილი იყო აღმართული.

ჩვენ არ შევჩერდებით საქართველოს ცხოვრების უკანასკნელ 16 თვის ისტორიაზე—1918 წ. მაისიდან: ამ პერიოდის ამბები საკმაოდ ახალი და ცნობილია მკითხველისათვის, რომ საჭირო იყოს ამაზე ლაპარაკი.

მხოლოთ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ქართველებმა გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს მართვა გამგეობის სათავეში ჩაუდგენ იგივე პირები, რომლებიც ბოლშევიკურ გადატრიალებამდე სათავეში ედგენ რუსეთის დემოკრატიას და დაუღალავათ მუშაობდნენ მის შესაკავშირებლათ.

რა უნდა ვთქვათ ამ მოვლენის შესახებ ჩვენ—სოციალისტ რევოლიუციონერებმა, რომლებიც არას დროს არ ვყოფილვართ დაბრმავებული ცენტრალისტურ და მთლიან სახელმწიფოებრიობის „მირაჟით“ (მოჩვენება)?

უწინარეს ყოვლისა ჩვენ უსიტყვოთ უნდა ვიცნოთ საქართველოსადმი უფლება, მართოს თავისი თავი ისე, როგორც მოესურვება; უნდა ვიცნოთ მისი სრული დამოუკიდებლობა იმ რუსეთის იმპერიისაგან, რომელიც 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ გადაიქცა დემოკრატიულ ფედერატიულ სახელმწიფოთ.

და ვინც ჩვენ გვეტყვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა არ შეიძლება, რადგანაც იგი ეყოფა არა სახელმწიფოთა კავშირს, არამედ შეკავშირებულ სახელმწიფოს, რომლის დასტურიც, მაშასადამე, საჭიროა ასეთ ნაბიჯის შესახებ,—ჩვენ მათ უნდა ვუთხრათ, რომ კონსტიტუციური უფლების უმაღლესი სიმკაცრეც კი უძლურია სინამდვილის, უმოწყალო ფაქტების წინაშე. ეს ფაქტები კი ნათლათ მოწმობენ იმას, რომ რუსეთის დემოკრატიულ ფედერატიული რესპუბლიკის იდეა დღეს არსებობს მხოლოდ როგორც იდეალი, რომლისკენაც რუსი სოციალისტები და დემოკრატები მიისწრაფიან. და ეს იმიტომ, რომ ბოლშევიზმმა ერთი მხრივ, ომმა—მეორე და მესამე მხრივ წვრილ ერთა სეპარატისტულმა მისწრაფებებმა დაფლითეს რუსეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი მრავალ ნაწილებათ.

რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია ვირწმუნოთ და უნდა ვირწმუნოთ, რომ ბოლშევიკური რეჟიმის დამხობა და აღდგენა დიდ რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკისა გავლენას მოახდენს დამოუკიდებელ ხალხებზე; მაშინ ჩვენ დავინახავთ სრულიად წინააღმდეგ მოვლენას: ხალხები იგრძნობენ საჭიროებას ფედერაციისა, ერთი მეორესთან დაახლოვებისა, ერთი მთელის შესაქმნელად. მაგრამ ეხლა ასე არ ხდება. და როდესაც, განსაკუთრებით ეხლა, ქართველები აღფრთოვანებულნი არიან თავიანთი დამოუკიდებლობის იდეით, ჩვენ არ უნდა ვიბრძოდეთ ამ ნაციონალურ თვითშეგნების წინააღმდეგ, არამედ—უნდა ვიცნოთ მისი ისტორიული აუცილებლობა.

დიახ, ჩვენ, როგორც ინტერნაციონალისტები, მივისწრაფვით მთელი ქვეყნის ფედერაციისაკენ და რუსეთის მაგალითში—რუსეთის ხალხთა და რასათა თავისუფალ, გულწრფელ და ძმურ ფედერაციისაკენ. ჩვენ მშვენივრათ გვესმის ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების მოსაზრებები მეორე ინტერნაციონალიდან, რომლებიც, რამზეი მაკდონალდის მსგავსად, აღნიშნავდენ ნაციონალურ ბრძოლის გამწვავების საშიშროებას ახლად დაარსებულ წვრილ სახელმწიფოებში. მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენ უნდა თავიდან ავიცილოთ ყველაფერი, რაც ხელს უშლის ამ ორგანიზმებში დემოკრატიის განვითარებას და ხელს შეუწყობს მის ფარგლებში შომუშავე სოციალისტთა შორის დამოკიდებულების გამწვავებას.

ჩვენ რომ ეხლა საქართველოში ვყოფილიყავით,—მუხლს მოვიდრეკდით ქართველთა ნების წინაშე, რომელსაც უნდა იცხოვროს და იმოქმედოს დამოუკიდებლად და რომელიც ამავე დროს არ ივიწყებს იმ ინტერნაციონალურსა და ფართო ფედერატიულ იდეალს რაც ჩვენ გზას გვინათებს და გვითითებს მომავალზე, რომელიც, შეიძლება, უფრო ახლო იყოს, ვინემ ჰგონიათ.

# დღეს

საფრანგეთის ქალაქებში მომხდარ მუნიციპალურ არჩევნებში უმეტეს ნაწილად რესპუბლიკანელთა სია გავიდა.

ლოიდ ჯორჯის განცხადებით სამხედრო წესები ინგლისში გაგრძელდება უნგრეთთან და ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე.

ბალშევიკების ცნობით ჩერჩილის მდგომარეობა ძლიერ შეირყა მას შემდეგ, რაც ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ რუსეთის შინაურ საქმეებში ინგლისი არ უნდა ერეოდეს.

გერმანიის პრესა უარყოფს გავრცელებულ ცნობას, თითქოს გერმანიის და რუსეთის საბჭოთა მთავრობებს შორის მოლაპარაკება ყოფილიყოს გამართული ტყვეთა გაცვლისა და სხვა საკითხების შესახებ.

ნოემბრის 24 ბელორუსიის რადის სხდომები გაიხსნა.

ფრანგული პრესის ცნობით მოკავშირეთა კომისიის მოწერილობის თანახმად გერმანიის ჯარმა 15 დეკემბრამდე უნდა მოახდინოს ბალტიის მხარის ევაკუაცია.

# დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

2 დეკემბერი.

### გერმანული პრესის ცნობები

გერმანელ დამოუკიდებელთა ყრილობის გამო, რომელიც ამ ცოტა ხანში ლეიპციგში უნდა მოხდეს, ფრიდრის სატმპფერი გაზ. „ფორვერტსში“ მოითხოვს, რომ დამოუკიდებლებმა პირდაპირ განაცხადონ, თუ ვინ არიან ისინი: დემოკრატები თუ კომუნისტები?

ერთი სააგენტოს მიერ გავრცელებული ხმები გერმანიის მთავრობასა და საბჭოთა რუსეთ შორის ტყვეთა გაცვლა გამოცვლისა და დაპერილ ქონებათა მიცემაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ, დაინტერესებულ მხარეთა მიერ სინამდვილეთ არ არის აღიარებული.

გერმანიასა და ინგლის შორის გამართულ მოლაპარაკების გამო, ინგლისი შეპირდა გერმანიას სამხედრო ტყვეების ინდოეთიდან დეკემბერში გაგზავნას და გზაში ტყვეებისადმი ჰუმანიურ მოპყრობას.

საარის ოლქიდან იუწყებიან, რომ გადამდნობ ქარხნების უმეტესი ნაწილი აღარ მოქმედობს. რაც დარჩა, ისინიც ძალიან ნაკლებათ მუშაობენ. ქარხნები ერთ ნატეხ ნახშირსაც ვერ შოულობენ, რადგან საფრანგეთის მთავრობა საარის ნახშირის მიღებას ხელს უშლის.

გაზ. „სანდეი ტაიმსი“ სწერს: მშვიდობიანობა დამყარდება რუსეთში და მაშასადამე, მთელ ქვეყანაზეც მაშინ, თუ ყველა ბალშევიკურ ელემენტების წინააღმდეგ შეერთდება. ბალშევიზმი რომ მოვსპოთ, მაშინ ანტიბალშევიკური ხალხი რუსეთში თავის ნებით შესწყვეტს თავის კონფლიკტებსო.

ცნობა განაპირა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და მათ შორის უკრაინისა, გვგონია, რუსეთის სახელმწიფოს დავალიანების პრობლემას გადასწყვეტდა: ეს ინგლისს შესაძლებლობას მისცემდა იქიდან დიდი სარგებლობა გამოეტანა პურისა და ლითონების სახით, რომელიც დღეს უკრაინაში მკვდარი კაპიტალის სახით იმყოფებაო.

24 ნოემბერს ბელორუსიის რადამ ლოსეკის თავმჯდომარეობით გახსნა თავისი სხდომები.

### იტალიური პრესის ცნობები

ვენიზელოსი რომში მოვიდა. მას შეხვდენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი გრაფი სფორცი, საბერძნეთის ახალშენების წარმომადგენლები.

### ფრანგული პრესის ცნობები

სტამბის მუშები, რომლებიც 3 კვირა გაფიცულები იყვნენ, ძველი პირობებით განაახლებენ ხვალ მუშაობას.

კვირას მთელ საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნები მოხდა. პარიზში ამორჩეულ 55 მუნიციპალურ საბჭოში —40 ძველია, ხოლო 15 ახალი.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა კომისიამ მოწერილობა გაგზავნა, რათა გერმანიის ჯარმა ბალტიის მხარის ევაკუაცია 15 დეკემბრამდე მოახდინოს. ამ დრომდე უნდა შესწყდეს ლიტვის ჯარის შეტევა. დასძენენ, რომ ჯარის ევაკუაცია ტეხნიკურად მოსახერხებელია.

საფრანგეთის ქალაქებში მუნიციპალურ არჩევნებში უმეტეს ნაწილად რესპუბლიკანელთა სია გავიდა. ზომიერ პარტიების ამ ახალ გამარჯვებას მშვიდობიანი შრომის განახლების სურვილით ხსნიან.

ვაშინგტონში მყოფი სენატორი ხიჩოკი მოსაზრებას გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ სენატი ორშაბათის სხდომაზე ჩქარა მიაღწევს შეთანხმებას საზავო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც მოკლე კამათის შემდეგ დამტკიცებული იქნება.

### ბალშევიკური ცნობები

მოსკოვი. დეკ. 1. სამხედრო ცნობა. ნარვის რაიონში მზვერავები მოქმედებენ და სროლაა. ჩვენ მტრის ჯავშნიანი მატარებელი დავაზიანეთ. დასავლეთით დვინაზე ჩვენი კონტრ იერიშებით მარჯვენა მხარეზე გადმოსული მტერი მარცხენა ნაპირისაკენ უკუ ვაგდეთ. ჟიტომირის სამხრეთ დასავლეთით 25—30 ვერსზე ჩვენ სოფელი დავიჭირეთ. კიევის რაიონში ფასტოვის ჩრდილოეთით ბრძოლაა. კიევთან ჩვენი ნაწილი შეტევაზე გადავიდა დასავლეთით 20 ვერსზე და ჩრდილოეთით 12 ვერსზე სოფლები ავიღეთ. ნეჟინის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით 35—40 ვერსზე ჩვენი ჯარი კობიჟჩის, მონასტირშჩინას და იჩნიას ხაზზე გამოვიდა. ჩვენმა ჯარმა სუჯის სამხრეთით 40 ვერსზე წინ წაიწია. ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება. ვალუიკის მიმართულებით ჩვენ ქალაქი ბირიუჩი ავიღეთ. ბირიუჩის აღმოსავლეთით 20 ვერს. ჩვენ სოფლები ავიღეთ. ლისკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას ანვითარებს, აიღო სადგური ევდაკოვო, წამოიყვანა 15 ტყვე და ხელში ჩაიგდო 4 ტყვიისმფრქვეველი. ჩვენ ბრძოლით ავიღეთ კალაჩი, წამოვიყვანეთ ტყვეები ხელში ჩავიგდეთ 1000 მდე ცხენი და სხვა ქონება. კალაჩის ჩრდილო აღმოსავლეთით ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 27 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ ზარბაზანი. ჩვენ უსტ ბუზულუცკაია დავიპყრეთ და სლაშჩევსკაიაზე შემოტეული იერიშები მოვიგერიეთ. დონსა და ვოლგას შუა, ცარიცინის რაიონში ჩვენ კარპოვკა ავიღეთ. ცარიცინის ფრონტზე ენერგიულად უტევთ.

ჩერნოიარის რაიონ. ვიაზოვკა ავიღეთ და ცარიცინის მიმართულებით შეტევას განვაგრძობთ. ასტრახანის რაიონში ჩვენ ბოლშოე კონიუშკინო ავიღეთ. წამოვიყვანეთ ტყვეთ მთელი გარნიზონი—3 პოლკით, საერთოთ 1500-მდე კაცი. ხელში ჩავიგდეთ 10 ზარბაზანი, 50 ტყვიისმფრქვეველი 4 გიდრო ჰაერო პლანი, 3600 თოფი, რადიო სადგური, 400 ცხენი, მრავალი ყუმბარა და თოფი და დიდი დავლა. ლბიშჩენსკის სამხრეთით 10 ვერსზე ჩვენ გორიაჩინსკი დავიჭირეთ, ჩვენ ბრძოლით ავიღეთ ქალაქი პავლოდარი. პავლოდარში მოვიდა საბჭოთა მე 5 პოლკის ესკადრონი, რომელიც მტრის ზურგს უკან შესდგა.

სლავგოროდის მიმართულებით ჩვენი შეტევა ვითარდება. აქ ჩვენთან მოდის პარტიზანული რაზმები, რომლებიც მტრის ზურგს უკან მოქმედებენ. კაინსკის მიმართულებით ციმბირის მაგისტრალზე ჩვენ სადგ. ტებისკაია ავიღეთ. ჩვენ ამ რაიონში წამოვიყვანეთ ტყვეები. ხელში ჩავიგდეთ 3 ზარბაზანი, 5 ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება. ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი მდ. ომის ორივე მხარეზე უტევს.

ჰელსინგფორსი. ნოემ. 28. „გუვედსტად-ბლადეტ“-ი იუწყება: ლოიდ ჯორჯის პოლიტიკამ, რუსეთის საკითხის შესახებ შეიძლება ჩერჩილის გადადგომა გამოიწვიოს; ჩერჩილის მდგომარეობა ძლიერ შეირყა მას შემდეგ, რაც ლოიდ ჯორჯმა განაცხადა რუსეთის საქმეებში ჩარევის შეწყვეტა.

ნაუენი. დეკ. 1, ლონდონიდან მოსული ცნობით, ლოიდ ჯორჯმა ქვემო პალატაში განაცხადა, რომ ინგლისში სამხედრო წესები გაგრძელდება უნგრეთთან და ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე.

ჰელსინგფორსი. 22 ნოემბ. მურმანის თეთრმა მთავრობამ სერბიის მთავრობას დახმარება სთხოვა. სერბია დასთანხმდა განსაზღვრულ განკარგულებამდე მურმანში მყოფი 1000 სერბიელი ჯარისკაცი დასტოვოს წესრიგის დასაცავად.

№-ის არმიის შტაბი. 28 ნოემ. ყირიმის ნახევარ კუნძული მახნოს მომხრეებმა ჩაიგდეს ხელში. ფეოდოსიის აღების დროს მახნოველებმა სამხედრო მასალით დატვირთული ორი გემი ააფეთქეს. როსტოვის და ტაგანროგის ევაკუაცია ხდება.

# ფარისევლნი

ამ დღეებში გავრცელებულ ფურცლებში, რომლებიც ეკუთვნიან კომუნისტების უბადრუკ შემოქმედებას, ყურადღება რომ არ მივაქციოთ მომაბეზრებელ, შაბლონურ, ათასჯერ გადაღეჭილ და გაცვეთილ კომუნისტურ სიტყვებსა და გამოთქმებს, არის ერთი მეტად დამახასიათებელი ადგილი, რომელიც, შეიძლება, ზოგიერთს ვერც კი შეემჩნიოს.

ფურცელი, ჯერ ერთი რომ მიმართულია „საქართველოს მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი“ და თავდება კი ლოზუნგით „გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!“

საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი ხანია, რაც კოსმოპოლიტ ბალშევიკები ხმარობენ სიტყვას „საქართველოს“, რამდენი ხანია, რომ მათ იცნეს დამოუკიდებელი საქართველო? როგორც ვხედავთ, დღეს ჩვენ ქამელეონი კომუნისტები აღარ ამბობენ „გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას“, უკვე აღარ მოითხოვენ საქართველოს რუსეთში გათქვეფას, უკვე სხვანაირ ჰანგზე ამღერებულან, ისინი ჩვენს ქვეყანაში მოითხოვენ საბჭოთა რესპუბლიკას, მაგრამ ეს რესპუბლიკა იქნება საქართველოს ფარგლებში.

ნუ თუ ბალშევიკები, დატვირთულნი მოსკოველ მათი ამხანაგების ფულებით, გულწრფელათ, სერიოზულათ გაიძახიან გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობასო? განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ისინი გააფთრებული ებრძოდენ ჩვენს დამოუკიდებლობას, რაც მოითხოვდენ მის რუს საბჭოთა რესპუბლიკასთან შეერთებას, მათ ჩვენი დამოუკიდებლობა ხომ მიაჩნდათ უდიდეს ღალატათ, რუსეთის ხალხის გაყიდვათ? მაშ რა მოხდა, ასე უცებ, მოულოდნელათ რათ გაიძახიან ისინი გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასო?

ეს მართლა გულწრფელი სურვილია მათი, თუ ჩვეულებრივი, მორიგი სიცრუეა მათთვის მუდამ დროს დამახასიათებელი ფარისევლობაა?

რასაკვირველია ეს მხოლოდ აშკარა ფარისევლობა. ეს მათი მოხერხებული ფანდია, თაღლითობაა, კომუნისტური შხამით მოწამლული ანკესია, რომელზეც, მათი განზრახვით, უნდა წამოეგოს საქართველოს დემოკრატია.

ისინი კარგათ მიხვდენ, რომ ქართველი ხალხი სამუდამოთ შეესისხლხორცა საქართველოს დამოუკიდებლობას, რომ მას ვერავითარი კომუნისტური წითელი სიტყვები ვერ გადაახვევინებს ამ გზიდან, და აი, დღეს, ქამელეონი ბალშევიკები ფერს იცვლიან და ჩვენს დემოკრატიას საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაზე უმღერიან, ახალ ფორმაში შემოაქვთ ჩვენში მათი ძველი, ანარქისტული, დამრღვეველი, რუსეთში უკვე გაცვეთილი და შერცხვენილი შინაარსი.

თორემ ის ხალხი, რომელიც ამ ზაფხულში გურიის მიტინგებზე გურულებს არწმუნებდა ჩვენი დამოუკიდებლობის რუსეთისადმი ღალატში, ის მათი პასუხის მგებელნი ორატორები, რომლებიც გაიძახოდნენ იქვე, რომ ეროვნება ბურჟუაზიული მოვლენაა, რომ ჩვენ კოსმოსს ვეკუთვნითო და ამიტომ დაუყონებლივ უნდა შევუერთდეთ საბჭოთა რუსეთსო, განა შეიძლება მათ გულწრფელათ ილაპარაკონ საქართველოს ცალკე არსებობაზე?

ნუ თუ ის ბალშევიკების პასუხისმგებელი ორატორი, რომელიც იმავე მიტინგზე, როდესაც ჩვენმა მოლაპარაკემ შეეხო ჩვენი ქვეყნის ფინანსიურ კრიზისს, უპასუხა, რომ თუ ხაზინაში არაფერი გქონდათ, რათ გამოეყავით რუსეთსო,—ასეთი ვაჟბატონები სერიოზულათ დაიწყებენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკს?

მაგრამ ჩვენმა ხალხმა კარგათ იცის, თუ რათ სჭირიათ ბ. ბ. კომუნისტებს „საქართველოს“ საბჭოთა რესპუბლიკა, მათ მისამართი შეეცვალათ, ანგარიში შეეშალათ, მორიგი მოღალატური ხრიკი მიზანს ველარ მიაღწევს.

შორს ფარისევლნი!

ალ. ჟ—ნი.

# ახალი ამბები

**ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ატყობინებენ, რომ ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა კარგათ მიმდინარეობს.

◆ **დუშეთიდან იუწყებიან,** რომ 1 დეკემბერს იქ დაუტუსაღებიათ ცნობილი ყაჩაღი შქერო ლალიაშვილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კორნეტ წერეთლის მკვლელობასა და სამხედრო გზაზე ფოსტისა და ავტომობილების გაძარცვაში.

◆ **გადასახადების აკრეფის შესახებ** თფილისის ქალაქის თავმა ბ. ჩხიკვიშვილმა შემდეგი ბრძანება გაუგზავნა მილიციის უფროსს და სთხოვა მას საჩქაროთ გაატაროს ის მილიციისადმი ბრძანებაში: „სახელმწიფო ხაზინის სიძლიერე დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დროიანათ და სავსებით იკრიბება სახელმწიფო გადასახადები. არა ერთხელ მიმიქცევია მილიციისა და განსაკუთრებით კომისრების ყურადღება იმ არანორმალურ მდგომარეობაზე, რომელიც იქმნება ამ დარგში მილიციის თავის დონეზე არ დგომით. დღეს კი აშკარათ მტკიცდება ეს იმ მოხსენებიდანაც, რომელიც საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატამ წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარეს და ფინანსთა მინისტრს, და რომელშიაც ნათქვამია, რომ „სახელმწიფო პირდაპირი გადასახადები იკრიბება მეტად ზანტად“. თქვენდამი რწმუნებულმა მილიციამ უნდა მოუღოს ბოლო ერთხელ და სამუდამოთ ასეთ მოქმედებას. მე ვაფასებ მილიციის სამსახურს ქალაქის ფარგლებში ბოროტ-მოქმედების და ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ და საერთოდ წესიერების დამყარების საქმეში, მაგრამ მან ეს ნაკლი დაუყოვნებლივ, უსათუოდ უნდა გაასწოროს. მილიციის არცერთი მოხელეთაგანი, რომელიც შესაფერ ენერგიასა და უნარს არ გამოიჩენს ამ საქმეში, კატეგორიულად ვაცხადებ, სამსახურში არ დარჩება. მიმდინარე დეკემბრის განმავლობაში არცერთი კაპეიკი სახელმწიფო გადასახადისა აუკრეფელი არ უნდა დარჩეს. სახელმწიფო მილიციის შესანახათ დიდ თანხას იღებს, ადგილობრივ თვითმართველობათა უპირველესი ვალდებულება არის გადასახადის თავის დროზე და სრულიად შეკრებაში ყოველი ღონე იხმაროს. ამ მოწერილობის ასლი ცნობათ ეგზავნება ამასთანავე გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის უფროსს, რომელთანაც სრული კონტაქტით და მორჩილებით მილიციამ უნდა გააცხოველოს თავისი მუშაობა ამ საქმეში“.

◆ **საერთო ბინა სტუდენტთათვის.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობამ ჩაიბარა ყოფილ სასტუმრო „ბომონდის“ ბინა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ ბინათ. ოთახებს აძლევენ სრულიად უბინაო სტუდენტებს. ჩასახლების ნებართვას იძლევა სტ. კავშ. გამგეობის პრეზიდიუმი. ნებართვით აღჭურვილ სტუდენტებს ჩასასახლებლათ იღებს დროებითი გამგე საერთო ბინისა ე. პატარაძე, დილის 8—10 ს. და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

◆ **ბანქოს თამაშის წინააღმდეგ.** თფილისის სასამართლო პალატის პროკურორმა წინადადება მისცა სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, რათა მან დაათვალიეროს თფილისის ყველა კლუბები და ზომები მიიღოს ბანქოს თამაშობის წინააღმდეგ.

◆ **ბეითალთა ყრილობა.** მომავალ წლის თებერვალში დანიშნულია საქართველოს ბეითალთა ყრილობა.

◆ **იტალიის სატრანსპორტო გემის დაზიანება შავ ზღვაზე.** საფრანგეთის მისიაში მიღებული ცნობის თანახმად, ამ დღეებში სტამბოლიდან ბათუმისაკენ გამოსული იტალიის მორიგი სატრანსპორტო გემი, ზღვაზე ძლიერ ღელვის გამო დაზიანებულა. ამის გამო გემი გზაში დარჩება ერთი კვირა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 ს. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი ლექციები: მე 5 განყოფ. (ვ. ნინოს რაიონი) 1) ი. ანთაძე „საქართველოს ისტორია“; 2) ა. წერეთელი „ისტორია“; მე 7 განყ. (საბურთალო) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“; 2) დ. ასათიანი „საფრანგ. რევოლიუცია“; მე 8 განყ. (ავლაბარი) 1) შალამბერიძე „ქიმია“; 2) ს. დოლიძისა „საქართველოს ისტორია“.

◆ **ქართულ სამუსიკო საზ-ში** 28 ნოემბერს ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის კრებამ დაადგინა დამფუძ. კრების ხელოვნების კომისიის სხდომებზე თავის წარმომადგენლათ დანიშნა დ. არაყიშვილი და კ. ფოცხვერაშვილი, ქართულ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლაში გუნდის მოსაწყობათ დაინიშნოს გ. სვანიძე, სამუსიკო ალბომის შედგენა დაევალა ი. კარგარეთელს.

◆ **სოხუმის სანატორიუმი.** განათლების სამინისტრომ საქართველოს წითელი ჯვრის სოხუმის განყოფილების წარმომადგენელს ქ-ნ თავდგირიძისას დაავალა შეიმუშაოს დაწვრილებითი ხარჯთ აღრიცხვა სოხუმის სანატორიუმის შესანახათ. სამინისტროს აზრადა აქვს ხსენებულ სანატორიუმში მოათავსოს სახელმწიფო უწყებებში დაავადებული მოხელენი, რომელთა შორისაც უპირატესობა მიეცემა განათლების უწყებაში მოსამსახურეთ.

◆ **„მეღვინეობა და მევენახეობა“.** ყოველთვიური ჟურნალი „მევენახობა და მეღვინეობა“ ს პირველი ნომერი გამოვიდა კ. ბერეკაშვილის რედაქტორობით. ჟურნალი ღირს წელიწადში 120 მ., ცალკე ნომერი 10 მან.

◆ **დრამატიული სტუდია.** მომავალ ოთხშაბათს, 3 ქრისტეშობისთვეს დრამატიული სტუდია გაიმეორებს ჰაუპტმანის ცნობილ პიესას „ჰანელეს“. როლების განაწილება სრულიად ახალია.

◆ **პარტახტიული ტიფის წინააღმდეგ.** ქალაქის მედიკო-სანიტარულმა ინსპექტორმა შემდეგი მოწოდებით მიმართა მოქალაქეთ: პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის მოლოდინში ვიმყოფებით. თუმცალა გასული ივლისის დამლევს პარტახტიანი ტიფის ეპიდემია გათავებულად ჩაითვალა, მაგრამ ამ სენით ავადმყოფობა მთლად არ შეწყვეტილა. თითო ოროლა შემთხვევა შემდეგშიაც თითქმის ყოველ დღე იყო. მაგალითად აგვისტოში იყო 33 შემთხვევა; სეკტემბერში 19; ოქტომბერში 22; ნოემბერში კი დღემდის უკვე 40 შემთხვევაა. თუმცალა ეს უკანასკნელი საერთოდ მცირე რიცხვია, მაგრამ მაჩვენებელია იმისა, რომ ცივი ამინდების დაწყებისთანავე ეგ სენიც თანდათან ვრცელდება. ცივი ამინდები თან იწვევენ ბინებში მეტ ხანს ყოფნას-შეჯგუფებას, ამას თან მოსდევს უსუფთაობის გაძლიერებაც, რაც თავის თავად კბენართა გაჩენა გამრავლებას ნ-ადაგს უმზადებს. კბენარი ხომ ერთად ერთი მიზეზია პარტახტიანი ტიფის გადადებისა. მხოლოდ კბენარის საშვალებით შეეყრება ეს სენი ადამიანს მაშ, მოქალაქენო, ეცადეთ მეტი სისუფთავე დაიცვათ, კბენარები არ გაგიჩნდეთ. ქალაქის გამგეობა გიწვევთ ისარგებლოთ ქალაქის უფასო აბანოებით: მამა-კაცთათვის აბანო „ფანტაზიის“ საერთო განყოფილებაში, ვორონცოვის ქუჩა № 6. ქალთათვის „ხერხეულიძისეულ“ აბანოს საერთო განყოფილებაში, ვორონცოვის ქუჩა № 18—20.

◆ **რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა** სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ წევრებს საჩქაროთ გამოცხადდენ კავშირში მათ ზე გამოწერილ ერთდროულ დახმარების მისაღებათ ან კავშირს აცნობონ თავიანთი მისამართი. მაისურაძე შაქრო ალექსის ძე, ქლენტი ვალერიან კალისტრატეს ძე, ვართუმოვი ვართან სტეფანეს ძე, მაკარიშვილი გიორგი შავარდენის ძე, ფარეულიძე თედო ფილიპეს ძე, კურტუბაძე სევასტი, დოლიძე ივანე, ბროძელი იოსებ ნიკოს ძე, ინდუაშვილი აბრამ ივანეს ძე, სეხნიაშვილი ალექსანდრე სპირიდონის ძე, სუხიაშვილი მიხეილ ვასილის ძე, ტატიევი ივანე, ცაპაევი ფილიპე სტანისლავის ძე, ნიჟაძე გიორგი მაქსიმეს ძე, მუხაშაური მელიტონ, ტიაშვილი გაბრიელ, ხაჯიბეგოვი გრიგოლი.

### კრებები

დღეს, საღამოს 6 ს. მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული ქალთა კოლექტივის წევრთა კრება.

— 4 დეკემბერს საღამოს 5 ს. შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. სომხური სექციის საზოგადო კრება, ბიუროს შენობაში (რუსთაველის პრ. № 24).

— 3 დეკემბერს დღის 2 ნახ. ს. მთავარ სახელოსნოს ჩამომსხმელთა ცეხის სასადილოში შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. სომეხ ამხანაგების კრება.

— 4 დეკემბერს, საღ. 5 ს. არამიანცის შენობაში შესდგება შემდეგ პროფესიონალურ კავშირთა გამგეობათა შეერთებული სხდომა: ხორცზე მომუშავეთა, პურის გამომცხობლების, სარდაფებში მომუშავეთა და ზეთის ქარხნებში მომუშავენი. დღის წესრიგშია ამ კავშირების შეკავშირება ერთ კავშირში ე. წ. „პიშჩევიკებისა“.

— 4 დეკემ. საღ. 7 ნახ. საათ ერობის შენობაში (რუსთაველის პრ. № 16) შესდგება ექიმთა კავშირის საზოგადო კრება.

— 3 ქრისტ. ავჭალის აუდიტორიაში საღამოს 6 ს. დანიშნულია კოოპერატივ „აღორძინების“ რწმუნებულთა კრების გაგრძელება.

# სავალდებულო დადგენილება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულია რესპუბლიკის საზღვრებში იარაღის ტარებისა და შენახვის შესახებ შემდეგი სავალდებულო დადგენილება:

1) აკრძალულია რესპუბლიკის საზღვრებში ტარება და შენახვა ცეცხლის მფრქვევ იარაღის და ტყვია წამლისა, რომელიც როგორც ჩვენი აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ჯარების შესაიარაღებლათ იხმარება.

შენიშვნა: ჯარის შესაიარაღებლად ითვლება: ა) ვინტოვკები 1891 წ. რუსული სახისა, სამხაზიანი, ბერდანები 4—2 ხაზიანები, გერმანული მაუზერები, ოსმალური მაუზერები, ავსტრიული მანლიხერი, სტეერი, ამერიკული ვინჩესტერი, ფრანგული ლებელი, ინგლისური მექსიკანური და სხ. ნაჭრიანი ცეცხლის მფრქვევი იარაღი, რომელიც ჯარის შესაიარაღებლად იხმარება. ბ) ნაგანის რევოლვერები, მაუზერის პისტოლეტები, პარაბელიუმი, კოლტი და ბრაუნინგი დიდი კალიბრისა და აგრეთვე ყველა რევოლვერი, რომელსაც პისტოლეტის ლოჟა აქვს. 2) ის პირები, რომელთაც დღეს ზემოხსენებული იარაღები აქვთ, თუნდაც წინეთ კანონიერათ მიცემული მოწმობებით, ვალდებული არიან შვიდი დღის განმავლობაში ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან ჩააბარონ იარაღი ქ. თფილისში გარნიზონის უფროსის სამმართველოს.

ქ. ქ. ქუთაისს და ფოთში მილიციის უფროსთა სამმართველოებს და რესპუბლიკის სხვა ადგილებში კი სათანადო კომისარიატებს.

შენიშვნა: ყველა დღემდის მიცემული მოწმობა 1 მუხლ. შენიშვნაში აღნიშნულ იარაღთა ტარებისა და შენახვის შესახებ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულათ ითვლება.

3) აკრძალულია აგრეთვე დადგენილების 1 მუხ. შენიშვნაში აღნიშნულ იარაღთა ტარება და შენახვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებადაურთველად ნებართვა მიცემული იქნება განსაკუთრებულ, საპატიო შემთხვევებში სათანადო სამაზრო ერობათა და თფილისსა, ქუთაისსა და ფოთში კი—ადგილობრივ მილიციის უფროსთა [illegible] შემდეგ.

4) [illegible] სავალდებულო დადგენილების დარღვევისთვის დამნაშავენი ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებული იქნებიან 10,000 მან. ან და 3 თვემდე ციხეში დაპატიმრებით.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის განცხადების დღიდან.

შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი.

29 ნოემბ. 1919 წ.

თფილისი.

# დამფუძნებელი კრების კომისიებში

28 ნოემბრის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა სათანადო კომისიებს გადაეცეს განსახილველად.

აგრარულ და საბიუჯეტო—საფინანსო კომისიებს: 1) მიწათ მოქმედების მინისტრის პროექტი დეკრეტისა—აბასთუმნის კურორტის განადგურებულ შენობათა აღსადგენათ 611,705 მან. გადადების შესახებ.

განათლების და საბიუჯეტო საფინანსო კომისიებს 1) განათლების მინისტრის პროექტი დეკრეტის საზღვარგარეთ სწავლა განათლების, ან სპეციალ ცოდნის შესაძენად გასაგზავნ პირთათვის დამატებითი სამი მილიონი მან. გადადების შესახებ, 2) მისივე პროექტი დეკრეტისა—საბავშვო ჟურნალის „ნაკადულისათვის“ ყოველ თვიურ დახმარებად 10,000 მან. გადადების შესახებ.

საბიუჯეტო საფინანსო კომისიას 1) ფინანსთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ ყოველ თვიურათ 66,827,720 მან. გადადების დეკრეტის მოქმედების განგრძობის შესახებ.

# სასამართლოში

საგანგებო სასამართლომ მიიღო დუშეთის აჯანყების საქმე. საბრალდებლო ოქმი შედგენილია ბრალმდებელის ამხანაგის ა. ყანჩელის მიერ. პასუხისგებაში მიცემული 222 კაცი, მათ შორის 20 კაცი ციხეში ზის.

---

საგანგებო სასამართლოში 4 იანვარს გაირჩევა საქმე ექიმ სტეფანე მილევსკის მოკვლის შესახებ. პასუხისგებაში მიცემულია 5 კაცი. დამნაშავეთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები ბარათაშვილი და კაჩუხაშვილი.

---

ამავე სასამართლოში 6 იანვარს გაირჩევა კორნეტი დიმიტრი ჯორჯაძის საქმე, რომელსაც ბრალდება პორუჩიკ ბაგრატიონ დავითაშვილის მოკვლა. დამნაშავეს დაიცავენ ნაფიცი ვექილები: ნინიძე, ბარათაშვილი და კაჩუხაშვილი.

---

ყოფილი პალატის მდივანი ლუნკევიჩი დაინიშნა თფილისის საოლქო სასამართლოს წევრად.

---

თფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის პირადი მდივანი ი. ა. ადამიძე დაინიშნა იუსტიციის მინისტრის პირადი მდივნის თანამდებობაზე.

# რეგულიარულ ჯარში მოხალისეთ შესვლა

(ამონაწერი ბრძანებიდან რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ. 19 ნოემბერი, 1919 წ., ქ. თფილისი. № 214. § 2).

დამტკიცებულ იქნას ქვევით მოყვანილი დებულება რესპუბლიკის რეგულიარულ ჯარში მოხალისეთ შესვლისა:

1) ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ დასრულებული საშუალო სასწავლებელი და მოისურვებენ ჯარში შესვლას ვიდრე სამხედრო ბეგრის მოსახდელათ კანონით დადგენილ წლოვანებას მიაღწევდენ, თუ შემოწმების შემდეგ სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი აღმოჩნდებიან, მიიღებიან მოხალისეებათ.

2) ახალგაზრდები, რომელთაც ჯარში მოხალისეებათ შესვლა სურთ, წლოვანობით უნდა იყვნენ დაბადებიდან არა ნაკლები 17 წლისა.

3) მოხალისეებათ არ მიიღებიან: ა) სასამართლოს განაჩენით სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება ახდილნი, ბ) სასამართლოს მიერ ქურდობასა და ბოროტმოქმედებაში დამნაშავეთ ცნობილნი და გ) საქმის დასრულებამდე სისხლის სამართალში თუ გამოძიების ქვეშ მყოფნი.

4) მოხალისეები მიიღებიან სამსახურში ყოველ დროს ჯარის სხვადასხვა დარგში მხოლოთ სამწყობრო თანამდებობაზე.

5) მოხალისეებს ეძლევა უფლება ჯარის დარგთა ამორჩევისა იმდენათ, რამდენათ ეს ჯარის ერთეულების შესავსებათ სამხედრო უწყების მიერ შესაძლებლათ იქნება ცნობილი.

6) მოხალისეები იმყოფებიან სამსახურში იმავე პირობებში, როგორშიც სამხედრო ბეგრით გაწვეულნი და ვალ-

[illegible] სამხედრო [illegible] დაწესებულებაში [illegible].

7) ის პირნი, რომელთაც სურთ ჯარში მოხალისეთ შესვლა, [illegible] ამორჩეული სამხედრო ერთეული უნდა დაასახელონ.

8) განცხადებასთან დართულ უნდა იყოს: ა) გამწვევ უბანზე მიწერის ან საადმინისტრაციო დაწესებულების მოწმობა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ, ბ) წლოვანობის შემამოწმებელი საბუთი, გ) მესამე მუხლში ხსენებული უმწიკვლო პიროვნობის მოწმობა ადმინისტრაციისაგან, დ) მშობლების, ოპეკუნების და მზრუნველების მცირე წლოვანის სამსახურში მოხალისეთ შესვლის თანხმობის ხელწერილი და ე) საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა (დიპლომი, ატესტატი).

9) საშუალო სასწავლებელ დამთავრებულ ახალგაზრდებს, რომელთაც ახლად გაწვეულთა კონტინგენტის შევსების გამო გაწვევის ვადა გადაედოთ, თუ სამსახურში მოხალისეებათ სურთ შესვლა, უნდა განაცხადონ ასეთი თავისი სურვილი ან თვით გაწვევის დროს, ანდა არა უგვიანეს მომდევნო წლის 1 აპრილისა. ეს პირნი მოვალენი არიან წერილობითი განცხადებასთან ერთად ზემოხსენებულ მერვე მუხლის „გ" და „ე" პუნქტებში აღნიშნული მოწმობები წარმოადგინონ.

10) ნამდვილი სამსახურის ვადა მოხალისეთათვის ითვლება ჯარის ნაწილში სამსახურისათვის ჩარიცხვის დღიდან.

11) სამსახურისათვის ვარგისათ მიჩნეული მოხალისენი მთელი წლის გაწვეულთა რიცხვში შედიან და მიმლებ ბარათში შეიტანებიან. მათზე შესდგება ნამსახურობის სიები, სადაც მათი სამსახურში მოხალისეებათ შესვლა აღინიშნება. სამსახურში მიღებულ ყველა მოხალისეებს სამხედრო აღრიცხვის ნაწილების უფროსები იყოლიებენ განსაკუთრებულ აღრიცხვაზე და ყოველ ამ გვარ შემთხვევას აცნობებენ გენერალური შტაბის განყოფილებას.

12) სამსახურში შესული მოხალისენი გადაირიცხებიან სათადარიგოთ იმ საერთო წესით, რომელიც მიღებულია სამხედრო ბეგრის კანონით.

დედანს ხელს აწერს სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

# ბათუმში

**ქართული გიმნაზია.** შესაფერი ბინის უქონლობის გამო ქართული გიმნაზია 1 დეკემბრიდან იმეცადინებს ქართულ სასწავლებლის შენობაში: შვიდი კლასი დილით და დანარჩენი ექვსი საღამოობით. ქართულ სასწავლებლის 170 მოწაფე ამის გამო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. მისი ერთი განყოფილება იმეცადინებს ბ-ნ ჯანელიძის შენობის ერთ ოთახში, [illegible]

**ამიერ კავკასიის ბანკის განყოფილება.** 28 ნოემბრიდან ამიერ კავკასიის ბანკის ბათუმის განყოფილებამ ბათუმში უკვე იწყო მოქმედება. ბანკი აწარმოებს ყველა საბანკო ოპერაციებს. მოთავსებულია მარინეს პროსპექტზე, სახლი № 29. ბანკის გამგეა ვ. ბ. ღლონტი.

**ჩვენი ფულის ფასი დღითი დღე მატულობს.** დენიკინის (დონის) ფულის ფასი ეცემა. 28 ნოემბერს ქალაქში ქართული ფული 60 პროცენტით მეტსა ფასობდა—400 მანეთ ქართულ ფულში იძლეოდნენ 1000 მანეთს დონის ფულს.

# უცხოეთი

რ უ ს ე თ ი.

**ზურგის დაშლასთან ბრძოლა „დობროვოლია"ში.** ეხლა უკვე არავის ეჭვი არ შედის იმაში, რომ მოხალისეთა ჯარის ზურგი თანდათან იშლება; ბოლშევიკური აგიტაცია, „მახნოვშჩინა" და მსგავსი ანარქიული გამოსვლები, მტრული განწყობილება ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა მხრივ მთავრობისადმი, სხვადასხვა ალაგებში მომხდარი ებრაელთა დარბევები და სხვ.,—ყველა ეს ისეთი მოვლენებია, რომელსაც უკვე ანგარიშს უწევენ მოხალისეთა ოფიციალური წრეები და რომლის წინააღმდეგაც, გაზ. „პრიაზ. კრაი" სიტყვებით, მთავრობამ გადასწყვიტა „გაბედული ნაბიჯები" გადასდგას. მოხალისეთა სარდლობასთან არსებული საგანგებო სათათბირო ეძებს ზომებს „ზურგის" მოსაწესრიგებლათ და ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროთ აღიარებს ფინანსიურ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის გაჯანსაღებას. პირველ მიზნის მისაღწევათ სათათბირო საჭიროთ სთვლის ახალ სამხედრო და სხვაგვარ გადასახადების შემოღებას. პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ კრებაზე მოხსენებას აკეთებს ნ. ასტროვი, რომელიც სხვათა შორის ამბობს: „ზურგში სხვადასხვა გვარი მოძრაობა აიხსნება ადგილობრივ მთავრობის მოუწყობლობით, მართვა გამგეობის უვარგისობით... მთლიანობის არსებობა მთავრობაში კიდევ არ ნიშნავს ასეთივე მთლიანობას ხალხში; მთავრობის მუშაობა ეწინააღმდეგება ცხოვრებას". პოლიტიკურ მდგომარეობის გასაჯანსაღებლათ, მომხსენებლის აზრით, საჭიროა შეიქნეს ისეთი მართვა გამგეობის აპარატი, რომელიც ადგილობრივ მთავრობის ცენტრალურ მთავრობისადმი უსიტყვო დამორჩილებას გულისხმობს.

**მოწაფეთა ახალი მობილიზაცია.** მოხალისეთა „სამეფოში" გამოცხადებულია ახალი მობილიზაცია მოსწავლეებისა; მობილიზაცია უმთავრესად იმ სტუდენტებს შეეხება, რომლებიც უკანასკნელ დროს ჩავიდენ „დობროვოლია"ში და დაბადებულნი არიან 1900 წელში. ამასთანავე ჯარში რჩებიან ის მოსწავლეები, რომლებიც განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვენ მთავარსარდლის ბრძანების თანახმად სწავლის დასამთავრებლათ. აღნიშნული ზომა გამოწვეულია ფრონტებზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობით.

**საერთო მთავრობის საკითხი.** ნოვოჩერკასკში გაემგზავრენ მოხალისეთა მთავარსარდლობის წარმომადგენელნი, სადაც ისინი მოლაპარაკებას გამართავენ სამხრეთ რუსეთის საერთო მთავრობის შედგენის საკითხის შესახებ დონისა და თერგის წარმომადგენლებთან. მოხალისეთა წარმომადგენელნი აღიარებენ, რომ ეს საკითხი სასწრაფოთ უნდა იქნეს გადაწყვეტილი. მაგრამ საქმეს აფერხებს ყუბანის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა. ბოლოს გადაწყვიტეს, უკანასკნელთა დაუსწრებლათ იქნეს გადაწყვეტილი ეს საკითხი და უფლება მიეცეს ყუბანს შემდეგ შეუერთდეს გადაწყვეტილებას.

**„ბანდიტები" „დობროვოლიაში".** გაზეთ „კუბ. ვოლია"ს ცნობით სადგურ ბერეზინოან მგზავრების მატარებელს თავს დაესხა 400 კაცისაგან შემდგარი ბრბო, რომელმაც მგზავრებს 300,000 მანეთი ფული მოსთხოვა. მძევლებათ „ბანდიტებმა" წაიყვანეს ყველა აფიცრები—მგზავრები. მგზავრებმა ბანდიტებს მისცეს 240,000 მანეთი.

**რუსული ფულები.** გაზ. „უტრო იუგა"ს ცნობით ბათუმის სამხედრო გენერალ-გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რათა ყველას, ვინც რუსულ ფულს შემოიტანს ბათუმის ოლქში, გადახდეს 2 პროც. შემოტანილ თანხისა, რომელიც ბათუმის ოლქის სასარგებლოთ წავა.

ს ო მ ხ ე თ ი

**სიძვირე ერევანში.** ერევნის გაზ. „ჰარაჯის" სიტყვით სომხეთში ეხლა ისე ნაკლებობა არ არის სურსათისა, როგორც შარშან იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა, დიდი სიძვირეა. ერევანში გირვანქა პური იყიდება 12—13 მანეთად, გირვანქა ხორცი—24 მ., ყველი გირ.—40 მანეთზე მეტი ფასობს, ერბო—90—100 მ., ერთი ცალი კვერცხი 4—5 მ., ერთი ფუთი შეშა—25 მანეთად. ბევრ საქონელზე ისეთი ფასებია, რომ ახლოც ვერ მიეკარები. ძნელია ცხოვრება. მართალია, მოსამსახურეებს ჯამაგირები ემატება, მაგრამ მატულობს ყველაფერზე ფასებიც. მხოლოდ ქაღალდის ფულის ბეჭდვა საქმეს არ შველის. ეს სხვა ქვეყნების მაგალითებიდანაც ვიცით. პირიქით ასეთ პირობებში ფულს ღირებულება ეკარგება, არ შველის საქონლის გაიაფებას, აგრეთვე გვაკლია ინიციატივაც. სომხეთში დიდი ძალი მარილი მოიპოვება, გვაქვს კულპის მარილის დიდი მადანი, მაგრამ რომელიმე სოფელში მარილს ოქროს ფასით ყიდულობენ სოფლელები; დიდი ძალი ერბო მოიპოვება ყარსში, ალექსანდროპოლში, მაგრამ მამასისხლათ ფასობს ერევანში; დიდი ძალი შეშაა მოგროვილი სარიყამიშის, ბერდენეკის და ყარაქილისის რაიონებში, მაგრამ ერევანში უშეშობით არ იციან რა ჰქნან. მთავრობა უნდა ჩაერიოს საქმეში და კოოპერატივების და სხვა ამ გვარი ორგანიზაციების დახმარებით შეუმსუბუქოს ხალხს გაჭირვებული მდგომარეობა.

ი ნ გ ლ ი ს ი.

**ინგლისის გემთა აღმშენებლობა.** ბრიტანეთის ლლოიდის ცნობით მიმდინარე წლის განმავლობაში ინგლისის გემთა აღმაშენებელ ნავთსადგურებს აუშენებია 1.750.000 ტონნაჟის გემი. ეს რიცხვი 100,000 ტონით მეტია გასულ წელს აგებულ გემებზე; ამ რიცხვში არ შედის იალქნიანი გემების რაოდენობა. ინგლისის პრესა ეხება ამ ციფრებს და აღნიშნავს, რომ ამერიკაში აშენებულ ხ-ს კორპუსიან გემების ტონნაჟი შემცირებულა. სულ მთელ ქვეყანაში 1919 წ. განმავლობაში აგებულა 4 853.000 ტონნა იორთქლმავალი გემი.

**უთანხმოება „მეგობრებს" შორის.** სირიაში მდგარ ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლობათა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. საფრანგეთის პრესამ ამის გამო კამპანია დაიწყო ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. ამ საკითხის შესახებ გაზ. „მატინ"-ის კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა ინგლისის გავლენიან მოღვაწესთან, რომელმაც სხვათა შორის შემდეგი განაცხადა: მე ძალიან მაღონებს საფრანგეთის პრესის ასეთი კილო; ჩვენ წინ ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხები სდგას გადასაწყვეტათ—გერმანიის მიერ ხელშეკრულების სწორათ შესრულების ყურის გდება, ოსმალეთის საკითხის გადაჭრა და სხ. ყველა ეს საქმე უნდა შეთანხმებულის ძალით მოაგვარონ ინგლისმა, ამერიკამ და საფრანგეთმა. ჩვენ შორის კი რაღაც მცირე მნიშვნელოვან უთანხმოების გამო, რომელიც საოკუპაციო ჯარების „ჩინოვნიკებთა" შორის არსებობს, სწორეთ ეხლა იქმნება უთანხმოების ატმოსფერა, როდესაც ასე საჭიროა თანხმობა და ერთსულოვანი მუშაობა. თუ ოსმალეთის საკითხის გადაჭრა გაზაფხულამდე ვერ შევსძელით, მაშინ, შეიძლება, სრულებითაც ვერ გადავჭრათ იგი, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში ოსმალეთს ისეთი სამხედრო ძალის შექმნა შეუძლია, რომ იგი, შესაძლოა, სულაც არ დაემორჩილოს ჩვენს გადაწყვეტილებას.

ი ტ ა ლ ი ა

**ფინანსიური ღონისძიებანი.** 3 მილიარდიან დეფიციტის დასაფარავათ მთავრობას განზრახული აქვს გაატაროს პირველ ყოვლისა შემდეგი რეფორმები პირდაპირი გადასახადების სახით: 1) ნორმალური რეალური გადასახადი ყოველგვარ შემოსავალზე როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებიდან პროპორციონალურის სისტემით; 2) დამატებითი პირადული გადასახადი თვითეულ ოჯახის უფროსის წმინდა შემოსავალზე პროგრესიულის წესით 1 დან 25 პროცენტამდე; 3) გადასახადი ქონებაზე, რომელიც 10,000 ლირას აღემატება, პროპორციონალურის წესით. დასახელებულ ზომებით განზრახულია დაიფაროს დეფიციტი 800 მილიონი, ან 1 მილიარდი ლირა. მეორე მილიარდი დეფიციტის დაფარვა უნდა მოხდეს ღვინოზე დაწესებული გადასახადით—12 ლირა ჰექტოლიტრზე ფისკალურ მონოპოლიების შემოღების საშუალებით. გარდა ამ ფინანსიურ ღონისძიებათა, განსაკუთრებულმა კომიაიამ წარმოადგინა პროექტი, არაჩვეულებრივ ზომების მიღების შესახებ, რომელიც იძულებითი სესხის დაწესებაში გამოიხატება; ამის თანახმად 20.000 ლირათ ღირებულ ქონებამ უნდა გაიღოს 5 პროც. სესხის სახით, 100,000,000 ლირ.—40 პროც. მაგრამ მთავრობამ ეს პროექტი უარყო და ნაცვლათ დაადგინა დააწესოს ახალი გადასახადი ქონებაზე და 3 ნახ. პროცენტიანი სესხი, რომელსაც გაანაღდებს განსაკუთრებული კასა 30 წლის განმავლობაში.

ა დ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი

**ნავთის წარმოება.** ნავთეულობის ექსპორტის უქონლობის გამო გაივსო ყველა ნავთის შესანახავი ჭურჭლები. ამის გამო ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსთან დაარსებული კომიტეტი ზომებს იღებს ჭურჭლების შესაკეთებლათ და ახლების ასაგებათ. ამ მიზნით იმათ, ვინც საჭიროებს და ხელს მოკიდებს ჭურჭლების შეკეთებას, ან ახლების აგებას, მიეცემა მთავრობისაგან სესხი, რომლის რაოდენობასაც დასახელებული კომიტეტი განსაზღვრავს. ჭურჭლების აგების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული წესები, რაც ამ საგნისთვის არის გამომუშავებული.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

**ხელშეკრულება მუშების შესახებ.** საფრანგეთის მთავრობამ შეკრა ორი ხელშეკრულება მუშათა ძალების გაცვლა-გამოცვლის შესახებ. ერთი ხელშეკრულება დადებულია პოლონეთის მთავრობასთან, მეორე იტალიის. ხელშეკრულება გულისხმობს მუშათა ძალების გადაყვანას ერთი სახელმწიფოდან მეორეში სათანადო სამუშაოს შესასრულებლათ. საფრანგეთ-პოლონეთის ხელშეკრულება უკვე შევიდა ძალაში და მოკლე ხანში გაიგზავნება საფრანგეთში 40 ათასამდე მუშა. საფრანგეთ იტალიის ხელშეკრულება უზრუნველყოფს ორივე მთავრობის თანაბარ დამოკიდებულებას მუშებისადმი. მუშები სახელმწიფოში ისარგებლებენ იმავე უფლებებით, როგორითაც ადგილობრივი მუშები სარგებლობენ.

# იუსტიციის სამინისტროში

**კამერების დათვალიერება.** ნოემბრის 27-ს იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა გ. თ. ჟორდანიამ დაათვალიერა სამმართველოს გამომძიებელთა და მომრიგებელ მოსამართლეთა კამერები, რომლებიც მოთავსებულნი არიან ყოფილ მეორე და მეოთხე სამომრიგებლო უბნების შენობაში.

**თფილისის მეორე სამაზრო უბნის გაყოფა.** თფილისის მეორე სამაზრო უბანი, რომელსაც დღემდე შეადგენდენ ყარაიაზის და სართაჭალის რაიონები, ორად გაიყო. ამისდაკვალად, იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება გასცა, რომ გამომძიებლების კამერები გადატანილ იქნას თფილისიდან: პირველი ყარაიაზში, მეორე კი—ს. სართაჭალაში.

**სასამართლო ნაწილის რეორგანიზაცია.** უახლოეს დღეებში თფილისის სასამართლო უწყების შენობაში მოთავსებულ დაწესებულებათა საანგარიშო ნაწილის [illegible] დაწესებულებაში [illegible] დაწესებულებებია: სენატი, იუსტიციის სამინისტრო, სასამართლო პალატა, ოლქის სასამართლო, საგანგებო სასამართლო, ქ. თფილისის და თფილისის მაზრის სამომრიგებლო ყრილობებში.

**თათბირი.** ნოემ. 28 იუსტიციის დეპარტამენტის მმართველის გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სასამართლო პალატის უფროს თავმჯდომარის მოადგილემ კ. ლ. ლუმანმა, თფილის ოლქის სასამართლოს პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელმა მ. კანდელაკმა, საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამავ სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ა. კარასიოვმა, ქ. თფილისის სასამართლო ყრილობის თავმჯდომარის მოადგილემ კ. ნ. აფხაზმა და თფილისის მაზრის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარემ გ. მელვინეთ-უხუცესმა. თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებათა სასამართლო დაწესებულებათა კანცელარიების საქმიანობის გასანაყოფიერებლად.

**სასამართლო გაეროვნებისათვის.** რადგან სამინისტროში წარმოდგენილ საქმიდან გამოირკვა, რომ სენაკის 1 უბნის გამომძიებელს საქმე დღემდე რუსულად უწარმოებია, სამინისტრომ შეეკითხა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს და პროკურორს: მარტო ხსენებული გამომძიებელი არღვევს სამინისტროს კატეგორიულ განკარგულებას ქუთაისის გუბერნიაში ყველა საქმეების უკლებლივ სახელმწიფო ენაზე წარმოების შესახებ, თუ სხვა გამომძიებლებიც იმავე სჩადიან, რითი აიხსნება სენაკის 1 უბნის გამომძიებლის ასეთი შეუპოვრობა მთავრობის ბრძანებისა და თუ გამომძიებელს არა სურს ან არ შეუძლიან მთავრობის განკარგულების შესრულება, რა ზომებს იღებს, ამ შემთხვევისათვის კანონით ნაჩვენებ საშუალებათაგან ოლქის სასამართლო და პროკურორის ნაწილი.

**ამიერ კავკასიის რესპუბლიკებთან ზოგიერთ კონვენციების დადებისთვის.** იუსტიციის დეპარტამენტი შეეკითხა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად საკითხი სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკებთან კონვენციის დადებისა: 1) მეზობელ რესპუბლიკების სასამართლო დაწესებულებათათვის უშუამავლო მიწერ-მოწერის უფლების მინისტრის შესახებ და 2) ამავ რესპუბლიკების მიერ ურთიერთისთვის დამნაშავეთა გაცემისა სათანადო კონვენციების პროექტები შემუშავებული იყო იუსტიციის სამინისტროს მიერ და განხილული ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის მიერ ამა წლის მაისში.

# კახეთი

III

თუ სარევოლიუციო ბრძოლისა და ერის განთავისუფლების დროს ვისმე დარჩენია სახელი, ერთი მათგანი გვარდია არის. გვარდია დროებითი მოვლენაა და რაკი ჩვენი რესპუბლიკა მტკიცე ნიადაგზე დადგება, მისი როლიც დამთავრებული იქნება.

დღეს კი ჩვენ შიგნიდან და გარედან მრავალი მტერი გვემუქრება და ჩვენს დანგრევას ცდილობს.

ამიტომ გვარდია საჭიროა და აუცილებელი. გვარდია რომ არ გვყოლოდა, დღეს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკაც არ იქნებოდა: სხვადასხვა მტერი აქამდინ რამდენჯერმე აგვაოხრებდა და ახლა სხვისი ლუკმა ვიქნებოდით.

გვარდიამ იხსნა ჩვენი ქვეყანა, გვარდია აშენებს ჩვენს რესპუბლიკას. გვარდიამ მისცა ჩვენს მთავრობას საშვალება ჯარის შექმნისა და დღეს ჩვენი ჯარი უკვე საგრძნობ ძალას წარმოადგენს.

გვარდიის გულს ქალაქის მუშები წარმოადგენენ. ამ გულის გარშემო თავს იყრის სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც განვითარებითა და თავისი მოვალეობის შეგნებით ქალაქის მუშებს ბევრათ ჩამოუვარდება.

დღეს სოფელშიაც ჩნდება გვარდია და ის მიზნათ ისახავს ანარქიასთან ბრძოლას.

მიზანი მეტად საპატიოა და სოფლის გვარდიის დანიშნულებაც დიდმნიშვნელოვანია. მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ სოფლის გვარდიაში რიგიანმა პირებმა მოიყარონ თავი, თორემ მოუმზადებელი პირი თავის იარაღსა და გავლენას ბოროტად გამოიყენებს.

დღეს, როდესაც მთავრობას გადაწყვეტილი აქვს სოფლის განიარაღება, ყოველი თავმომწონე ახალგაზრდა, რომელიც იარაღით ამაყობს, მოინდომებს იარაღის შენარჩუნებას; ამ მიზნით ბევრი მოისურვებს გვარდიელობასაც. ჩვენთვის კი საჭირონი არიან არა იარაღისა, არამედ დემოკრატიულ რესპუბლიკის მოტრფიალენი.

ეს გარემოება უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ყველგან გვარდიის მეთაურებს.

სოფლის გვარდიას შეუჩერებლად უნდა ადევნებდეს თვალყურს თფილისის შტაბი. ასეთი კანტროლი გაწვრთნის და აამაღლებს სოფლის გვარდიას.

შტაბი უნდა ეცნობოდეს ხშირად სოფლის გვარდიის საჭიროებას და აკმაყოფილებდეს იმის კანონიერ და აუცილებელ მოთხოვნილებას.

სოფლის გვარდიის როლი დიდია, მაგრამ აუცილებელია, რომ მას მოვეპყრათ როგორც ჯეროვანის სიფრთხილით, ისე ჯეროვანის ყურადღებით.

კახეთის ზოგიერთ რაიონში გვარდიელთა რიცხვი მცირეა; ზოგან მგონი ათ კაცს არ აღემატება.

დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა,
კარგი გვინდა და ცოტანი.

ეს მართალია, მაგრამ ათი კაცი მეტად ცოტაა

საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს საბუეს გვარდია, რომლის უფროსიც არის სოსო ჯორჯაძე. მას ჰყავს 65 კაცი ისეთი ბიჭები, რომლებიც ცეცხლს აფრქვევენ თვალებიდან.

ამ იმედს კიდევ უფრო აღვივებს თელავის ჯარი. ჯარისკაცები, მათი აფიცრები, მათი ურთიერთ შორის განწყობილება კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. კაზარმები სუფთაა, ოთახები დაწმენდილი, ლოგინები სუფთა და კოხტად მილაგებული, პური და დანარჩენი საჭმელი რიგიანი.

საღამო იყო და მე შემთხვევა მქონდა გამესინჯა პური და ქაში. პური იყო კარგად გამომცხვარი, გამომშრალი და გემრიელი, ქაშიც ნოყიერი და მადიანი.

როდესაც ჯარს გაეცნობით, ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას: ინტელიგენტ ახალგაზრდებს შიგ ვერა ჰხედავთ.

ჩვენი კანონით შეღავათი არავის არ ეძლევა. წელიწადი და ოთხი თვე რა არის, რომ ამაშიაც სხვადასხვა შეღავათები დააწესოს პატარა რესპუბლიკამ.

ნამდვილად კი შეღავათი არსებობს: განათლებული ახალგაზრდობა ჯარში არ არის, მათი ყოფნა კი ფრიად საჭიროა. სხვა რომ არა იყოს რა. ამასა აქვს საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ამასთან ერთად ბოლო მოეღება საყვედურებს: ჩვენისთანა ხალხი მოგყავთ და ნასწავლები კი არა, თუ ერთობაა, აქაც ერთობა უნდა იყოსო.

აი რას ამბობენ ხშირათ უბრალო ჯარისკაცები და მართალიც არიან.

სამხედრო უწყებამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოუღოს ამას ბოლო.

სამშობლოს დაცვა თუ უსწავლელ ახალგაზრდობას ევალება, განსაკუთრებით უნდა დაევალოს ეს განათლებულ ახალგაზრდობას.

მობილიზაცია კახეთში საერთოდ კარგათ ჩატარდა, სადაც სოფლად პარტიული მუშაობაა, იქ არავინ დაჰკლებია, სადაც ასეთი მუშაობა არ არის სრულებით, იქ ბევრი გამოაკლდა. მაგალ. იყალთოს რაიონიდან დანიშნულ ვადაზე ძალიან ცოტა გამოცხადდა და საჭირო გახდა გვარდიის გაგზავნა.

შიგ თელავში საუცხოვო გვარდია არის და მეთაურიც მტკიცე, ენერგიული და დაუღალავი პიროვნებაა. რასაც მას დაავალებთ, წინდაწინვე გულდამშვიდებული უნდა იყოთ: სწრაფათ შეასრულებს.

ზოგიერთ კუთხეში მისი დახმარება შეიქნა საჭირო საჯარისკაცო ახალგაზრდების გამოსაყვანათ.

ამიტომ აუცილებელია, რომ პარტიული მუშაობა სოფლათ გაცხოველდეს, დღეს კი ეს მუშაობა ზოგან სამწუხაროთ მოდუნებულია და ზოგან კი ჩამქრალი.

კარგათ მიმდინარეობს პარტიული მუშაობა წინანდლის რაიონში: ურიათუბანში, აკურაში, შაშიანში. სახალხო მიტინგის შემდეგ აქ გავმართეთ მე და სოსო მაჭავარიანმა პარტიული კრება, რომელმაც ჩვენზე მეტათ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

თუ გვინდა, რომ სოფელში სიბნელე არ იყოს და ანარქიას გასავალი არა ჰქონდეს, პარტიული მუშაობის გასაჩაღებლათ არაფერი არ უნდა დავიშუროთ.

ზოგან პარტიული მუშაობა იმდენათ მიმქრალია, რომ სოფელში თავისუფლათ დათარეშობენ დენიკინელები და მათი ამყოლ დამყოლნი. ესენი რასაკვირველია ახალგაზრდობას ჩაჩიჩინებენ: რის მობილიზაცია, რა კაზარმა, არავინ არ გახვიდეთო.

მათმა ღვარძლმა ზოგან მართლაც მოიტანა ნაყოფი.

ერთი სამწუხარო მოვლენაა კიდევ აღსანიშნავი: ჯარში გაწვეულთა შორის ძალიან ცოტა აღმოჩნდა წერა კითხვის მცოდნე.

როდის დადგება ის სანეტარო დრო, რომ ჩვენში წერა-კითხვა ყველამ იცოდეს!

ერთის მხრით განუვითარებლობა, მეორეს მხრით სოფლის სიახლოვე მიზეზია გახშირებული დეზერტირობის.

დეზერტირობა ყაჩაღობის წყაროა. თეორიულათ, განყენებულათ როდესაც ვმსჯელობდით, დარწმუნებული ვიყავით, რომ რაც უფრო ახლოს იქნებოდა ჯარისკაცი თავის სოფელთან, მით უკეთ მოეწყობოდა ჯარის საქმე, მით უფრო ადვილათ შეურიგდებოდა ის კაზარმას.

ამიტომ შემოვიღეთ კახელისა კახეთში დატოვება, იმერლისა—იმერეთში, მეგრელისა სამეგრელოში, გურულისა გურიაში და სხ.

სინამდვილემ ეს არ გაამართლა.

ხშირათ კაზარმაზე ისე ახლოს არის ჯარის კაცის სოფელი, რომ მას ზურნის ხმა ეყურება. სოფელში ქორწილია, ქეიფია, მოდი და მოითმინე.

ჯარისკაცი გაიპარება ერთი დღით, დროს ტარება გაიყოლიებს, გაივლის რამოდენიმე დღე და შემდეგ კაზარმაში დაბრუნებისაც ეშინია: დამსჯიანო.

ამიტომ აუცილებელია გადაჯგუფება ერთი კუთხიდან მეორეში. კახელი წავა ჯარისკაცათ ქართლში, ქართლელი კახეთში ან იმერეთში, იმერელი კახეთში და სხვა.

ეს შეასუსტებს, გააძნელებს დეზერტირობას და სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენი ახალგაზრდობა ჩვენს ქვეყანას მაინც გაეცნობა. თორემ სამწუხარო მოვლენას კიდევ აქვს დღესაც ადგილი. კახელს იმერელი კიდაც უცხო და გადამთიელი ჰგონია და უნდა უმტკიცო, კახელი და იმერელი ყველა ქართველები ვართო.

რა თქმა უნდა ყაჩაღობა უდეზერტიროთაც იქნება კახეთში და ამ სენთან საბრძოლველათ განსაკუთრებული ზომებია საჭირო; ხოლო დეზერტირობა რომ ზრდის და აძლიერებს ყაჩაღობას, ეს აშკარაა. ყაჩაღობას კახეთში ბევრგვარი მიზეზი აქვს.

უწინდელს დროში კახეთს ხშირათ ესხმოდენ თავს ლეკები. კახელებიც სამაგიეროს უხდიდენ. ქურდულათ თავდასხმა ნელანელა ავითარებს ყაჩაღობას და ეს მიდრეკილება კიდევ არის დღეს ალაგ-ალაგ დარჩენილი. კახელი ხშირათ იმიტომ კი არ ყაჩაღობს, რომ მას უჭირს,—ბევრი ყაჩაღი შეძლებული ოჯახის შვილია. მას იზიდავს ყაჩაღის ცხოვრება, მისი თავადებულობა.

ყაჩაღობა იოლი, ადვილი საქმეა კახეთში ხშირი ტყის წყალობით. ყოველ ფეხის გადადგმაზე ყაჩაღს აქ ტყე ჰფარავს.

დაუმატეთ ამას შეუგნებლობა, განუვითარებლობა.

აი ასეთ პირობებში ვითარდება აქ ყაჩაღობა, რომელიც მართლაც საკმაოთ გავრცელებულია. დღევანდელი გარდამავალი ხანა ხომ განსაკუთრებით უწყობს ხელს ქურდობას, ავაზაკობას, ყაჩაღობას. ძველი დაინგრა, ახალი ჯერ საკმაოთ მტკიცე არ არის და ბოროტ კაცს იმედი აქვს ყველაფერი შემრჩებაო.

კახეთში დღეს ხშირია თავდასხმა, გაძარცვა, მუქარის წერილებით ფულის გამორთმევა. ასეთი წერილებით ათას თუმნობით აგროვებენ ყაჩაღები და ამ ბოროტებას დასასრული არ უჩანს, ხალხი დაშინებულია.

ხალხი ინახავს ყაჩაღებს ხშირათ იმიტომ, რომ იძულებულია შეინახოს.

ყაჩაღების წინააღმდეგ იგივე კანონი უნდა იყოს მიმართული, რაც სახელმწიფოს მოღალატეთა წინააღმდეგ მიიღო დამფუძნებელმა კრებამ: მათი გასამართლება ადგილობრივ უნდა მიენდოს გვარდიასა და მილიციას და ეს გასამართლება უნდა მოხდეს სამი დღის განმავლობაში.

აი აუცილებელი გზა ყაჩაღობასთან საბრძოლველათ და ამ გზაზე თვითონ ხალხი გვითითებს.

ყველა ყაჩაღს, დამცემს, ავაზაკს უნდა ჩამოერთვას უძრავი საკუთრება და გადაეცეს სახელმწიფოს.

ყაჩაღი მარტო ხალხის კეთილდღეობას კი არ უთხრის ნიადაგს, ის რესპუბლიკასა და იმის მთავრობას უტეხს ხალხში, შინ და გარეთ სახელს. ამიტომ მის წინააღმდეგ საბრძოლველათ სისასტიკე და სისწრაფეა საჭირო.

იგ. გომართელი.

**ბოლშევიკების აჯანყების საქმეების გამოძიების შედეგი.** თფილისის ოლქის სასამართლოს წევრი მ. ორჯონიკიძე მოახსენებს სამინისტროს ხაზინიდან დეპეშით, რომ ამა წლის ნოემბრის 26 ადგილობრივ გაასამართლეს ქვიშხეთელები, რომელთაც ბრალი ედებოდათ ბოლშევიკურ გამოსვლაში, ტონელის და ხიდების დაჭერაში. მათ შორის ერთს ქალიაშვილს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, ორს სუთიაშვილს, გომარელს 12 და 8 წ. კატორღა.

**მოხსენება ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორისა.** ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ამა წლის ნოემბრის 21, საათის 4-ზე ვარდენ პაჭკორიამ თანამდებობის ასრულების დროს მოკლა რევოლვერით უფროსი მილიციონერი გუგუშვილი, შეპყრობისთვის ზომების მიღების დროს მოკლა მაზრის მილიციონერი ლაბახუა, გვარდიელი ადამია, მკვლელი არ დანებდა ადმინისტრაციას და შეეფარა ეჯიბიას ქვის შენობას. სენაკის მთელი შეიარაღებული ძალა დილამდე იარაღით მოქმედებდა. გათენებისას ადგილობრივი მთავრობა იძულებული იყო ზარბაზნით დაენგრია ეჯიბიას ქვედა სართულის წინა კედელი, რომლის დროს დამნაშავეც იქმნა მოკლული.

**იუსტიციის სამინისტროში:** იუსტიციის დეპარტამენტის მმართველის განკარგულებით გაეგზავნათ ცნობად და სახელმძღვანელოდ ყველა სასამართლო პროკურორებს, თავმჯდომარეებს და მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებს (მთავრობისა) ა. წ. ოქტომბრის 31-ის № 1429 ცირკულიარის პირი, შემდეგის შინაარსისა: იუსტიციის სამინისტროს მოხსენებიდან ირკვევა, რომ მუარებელი საქმეები რჩება გაურჩეველი სასამართლოს მიერ მხოლოდ იმიტომ, რომ მილიცია უწყებებს არ აბარებს ვამოწვეულ პირთ და მით მართლმსაჯულების საქმეს აფერხებს. წინადადებას გაძლევთ გამოუცხადოთ მილიციას, რომ მის მთავარ მოვალეობათაგანია სასამართლოს და გამომძიებელთა განკარგულებების სწრაფი ასრულება და ჩადენილ დანაშაულთა შესახებ მათთვის საჩქაროდ შეტყობინება. წინაალმდეგ შემთხვევაში მილიციის მოსამსახურენი სამსახურიდან დათხოვნილი და სამართალში მიცემული იქნებიან. ამასთანავე გაუწყებთ, რომ თუ დღეიდან ერთი თვის განმავლობაში მილიციამ ვერ გამოასწორა ეს თავისი ნაკლულევანება და იუსტიციის მინისტრმა კიდევ საჩივრით მომმართა ადმინისტრაციის უმოქმედობაზე—ჩემ მიერ სასტიკი ზომები იქნება მიღებული კომისრების და მილიციის უფროსების წინააღმდეგ, რომელთაც სამსახურიდან ვადაყენებასაც არ ვაკმარებ.

---

იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა წინადადება მისცა თფილისის სასამართლო პალატის უფროს თავმჯდომარეს რათა დამფუძნებელ კრების მიერ ა. წ. ნოემბრის 11-ს სხდომაზე მიღებულ დეკრეტის შესახებ საქართველოში ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა განსახორციელებლად მიღებულ იქმნას სასწრაფო ზომები.

# მუშათა შორის

**სამხედრო გოსპიტალი.** ამ დაწესებულების მუშათა მდგომარეობა არასოდეს ყოფილა კარგ მდგომარეობაში და ასე იქნება მუდამ, რადგან მოსამსახურენი ვერ დგანან თავიანთ შეგნების სიმაღლეზე. არავითარი კავშირი მათში არ არსებობს. ორგანიზაციის შექმნაში დაინტერესებულმა პირებმა დიდათ შეუშალეს ხელი. არ იქნა ორგანიზაციის გამთელება. ექიმები, როგორც ინტელიგენტური ძალა, ხელს უნდა უწყობდეს ყოველივე პროგრესიულ მოვლენას მოსამსახურეებში და თვითონ უნდა თაობდენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას სრულებით ვერ ვხედავთ. საკმარისია ცოტა რაიმე მიზეზი, რომ დაიწეროს „პრიკაზი" და მეორე დღესვე მოსამსახურე ქუჩაში ამოყოფს თავს; ყოველ დღე მიდებ დათხოვნა მოსამსახურეებისა ვნებს საქმეს, მხოლოდ უკანასკნელად გამეფებული ნათლიმამობით მიღებ მოსამსახურეებისა სრულებით ვერ შეანელებს იმ ბოროტ მოქმედებას, რომელიც არსებობდა, არამედ ჩვენ ვიცით, რომ „ხელი-ხელს ბანს და ორივე კი პირსო". ამ მოვლენას გოსპიტლის ადმინისტრაცია კარგად უნდა ჩაუკვირდეს; არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება ვისიც ჯერ არს შემდეგ გარემოებაზე: გოსპიტალს აქვს საკუთარი ეკლესია, რომლის შტატის შენახვა თვეში არა ნაკლებ ხუთი ათასი მანეთიხა ჯდება, ჩვენის აზრით ეს იყო საჭირო მაშინ, როდესაც აქ ჯარის ნაწილებიც იდგა და უმთავრესათ სამხედრო საფერშლო სკოლა იყო, დღეს კი ასიოდე მოსამსახურისათვის ვეებერთელა ეკლესიის შენახვა სრულიად უაზრობაა, მით უმეტეს, რომ ახლო არის სამხედრო სასაფლაო, ბარბალეს ეკლესია; ჯარის ნაწილებში მოისპო მღვდლების თანამდებობა და ისინი მოლარეების ადგილებზე იქნენ გაწესებულნი, მაშასადამე, ეს დაწესებულება რა დასაჯარიმებელია ამ მხრივ, რომ ზედმეტი ხარჯები სწიოს. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის არევ დარევა, რომელიც არსებობდა ამ დაწესებულებაში დღეს აღარ არის, რაიც მიეწერება ახალი გამგის მოქმედებას მხოლოდ შემდეგში როგორ წაიყვანს საქმეს, ვნახოთ. ლი.

# ს.-დ. პარტიაში

**დ. ხუფსა.** 23 ნოემბერს შესდგა სუფსის რაიონის ს. ს. დ. მ პარტიის წევრთა ყრილობა. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება თანამედროვე მომენტზე, 2) კოლექტივის ანგარიშები, 3) კიოსკის ანგარიშები, 4) კოლექტივის რეორგანიზაცია.

მომენტზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ალექსი ჰყონია. პარტიის წევრის მოვალეობის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს ს. ჯიბლაძე. ორივე მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ის პირები, ჯგუფები ან სხვა მავნე ელემენტები, რომლებიც იწვევენ საქართველოს ტერიტორიაზე არევ დარევას შეიარაღებული გამოსვლით, საიდუმლო მუშაობით, ან სიტყვიერი აგიტაციით და მით ლამობენ საქართველოს განადგურებას გარეშე ძალების შემოსევით, ასეთ მოღალატეებს გამოეცხადოს სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა.

კოლექტივის ანგარიშების შესახებ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ვ. გიორგაძე; მოხსენებას კრება უცვლელად ღებულობს.

არჩევნების და კიოსკის სუფსის რაიონის მასწავლებელთა კავშირზე გადაცემის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომიტეტის წევრი ბ. ჰანტურია. კრებამ დაადგინა: იმ პირებმა, რომლებსაც კიოსკის ანგარიში დღემდე არ გაუსწორებიათ. უნდა გაასწორონ მომავალ პარტიულ ყრილობამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში ევალება გამგეობას ასეთ პირებისაგან ფულის ასაღებათ მიმართოს სასამართლოს.

შემდეგ მოხდა ძირითად „იაჩეიკების" წარმომადგენლების არჩევნები და მათი კანდიდატებისა, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: ბ. პონკრატი, ლ. ჰყონია, ს. კალანდაძე, ი. ღლონტი, გ. ჩხარტიშვილი, ა. მდინარაძე, ი. გაბეჩავა, გ. კვერენჩხილაძე, მ. ჯაყელი, ქ. ჯიჯეიშვილი,—კანდიდატებათ: მ. გურგენაძე, ნ. ტულუში, ბ. ლიპარტია, მ. ტულუში, ნ. ნაკაიძე, ყ. რუსიძე, თ. რუსიძე, მ. ავეანდაძე, ე. თავართქილაძე, თ. რუსიძე, ნ. შეავია. დამატებითი წევრებათ: ნ. ურუშაძე, კ. ჩხაიძე, ა. ჰყონია. გურიის კომიტეტის წევრათ—ნ. ურუშაძე.

წიაღობნელი.

# პროვინცია

**წერილი ბორჩალოდან.**

ამას წინათ „ერთობის" ერთ-ერთ ნომერში განცხადებით ბორჩალოს სამაზრო ერობის გამგეობა იწვევდა ქართველ მასწავლებლებს. იქვე გამოცხადებული იყო მათი თვიური ჯამაგირებიც 1200—1500 მან. ბინით, განათებით და გათბობით. მას შემდეგ გადის ხანი და მგონი ერთი მსურველიც არ გამოჩენილა ამ სამსახურისა. არ ვიცი, არ არიან თავისუფალი მასწავლებლები, თუ არ ისურვეს აქეთ გამომგზავრება. ერთიც და მეორეც მეტად სამწუხარო მოვლენაა.

ვინ არ იცის, რომ ბორჩალოს მაზრა, ყველაზე მეტათ ჩამორჩენილი კუთხეა მთელ ჩვენ რესპუბლიკაში. ამიტომაც თავის თავათ ცხადია, რომ ყოველ გვარ ბოროტებას, როგორიც არის ყაჩაღობა, ქურდობა, წარა-მარა კაცის კვლა, მექრთამეობა და სხ. ასეთებს, ასე მაგრათ გაუდგამს ფესვები ამ მაზრაში. ჩვენთვის კიდევ გასაგებია, როცა სწავლა-განათლებას აქამდე ფეხი ვერ მოუკიდია ჩამორჩენილ თათრის მასსაში, მაგრამ სამწუხაროთ ვერც შედარებით დაწინაურებული ქართველობა ასცდენია ამ ბედს.

ბორჩალოს მაზრაში დღეს 17 ტამდე ქართული სოფელი ითვლება და მგონი არც ერთ მათგანში ერთი რიგიანი სკოლა არ მოიპოვება. თუ ოდესმე რამე ყოფილა, დღეს ისიც აოხრებული და კარ გამოკეტილია. ხალხი სიბნელეში და ათას-გვარ ცრუ-მორწმუნეობაში სცურავს. არც ერთი ხეირიანი წერა-კითხვის მცოდნე, არც გაზეთი, არც სხვა რაიმე გონიერი სულიერი საზრდო.

თუ ასე იყო დღემდის, ამას იქით ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ჩვენთვის მიუტევებელი ცოდვა იქნება. ყველაზე უწინ საჭიროა კარგი სკოლების გახსნა და იქ კარგი მასწავლებლების გაჩენა, მასწავლებლების არა მარტო მოხელის და პატარა ბავშვების აღმზრდელის, არამედ—დიდებისაც და მთელი ხალხისა.

დღეს მაზრას, ავათ თუ კარგათ, ახლო პატრონი გაუჩნდა. ეს არის სამაზრო ერობა, რომელიც ცდილობს სკოლების გახსნას მაზრაში, მაგრამ რათ გინდა სკოლა, თუ მასწავლებლებს ვერ ვიშოვნით? აი, მაგალითად, როგორც სკოლების გამგე გამგეობის წევრმა გადმომცა, დღესვე აქ საჭიროა შვიდამდის ქართველი მასწავლებელი და მთხოვნელი კი არც ერთი არ გამოჩენილა.

რაშია საქმე? აქ სამსახური და მუშაობა არც ისე ძნელი და შეუძლებელია, როგორც შეიძლება, ბევრსა ჰგონია. პირიქით, ბორჩალოს მაზრა ბევრ ჩვენ სხვა მაზრებზე საინტერესოა სხვადასხვა მხრით. სხვა არა იყოს რა, სურსათის მხრით მაინც გაცილებით უკეთეს პირობებში იქნება მასწავლებელი აქ, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხეში ჩვენი ქვეყნისა. აქაურ სოფლებში თითქმის ყველგან საკმაოთ იშოვება შედარებით ნაკლებ ფასებში რძე, ყველი, კარაქი, პური და სხ. პირველ მოთხოვნილების სანოვაგე. თვიური ჯამაგირიც, ისიც თავის დროზე აღებული ერობისაგან 1200—1500 მან. არც ისე მცირე თანხაა, რომ მით ცხოვრება არ შეიძლებოდეს, ისიც სოფლათ.

ჩვენ მივმართავთ ქართველ სახალხო მასწავლებელთა გონიერებას და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ისინი არ დაივიწყებენ თავიანთ მოვალეობას ხალხისა და მათი პატარა უმწეო ბავშვების წინაშე და გამოეშურებიან ბორჩალოსკენ. საჭიროა იდეიური და თან გამოცდილი მასწავლებლები, რომ ამ ისტორიულათ დაბეჩავებულს და სწავლაზე გულ-აცრუებულ ხალხს სკოლა შეაყვარონ და სწავლის სურვილი გაუღვიძონ.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ახალ შენ ეკატერინენფელდში სამაზრო ერობის გამგეობის სახელზე.

რ. რამიშვილი.

---

**რაშია საქმე?**
(წერილი რედაქციის მიმართ)

ამა წლის 26 ოქტომბერს წირქვალის საზოგადოების სოფ. ჭალოვანის ეკლესიის ეზოში მოხდა ამ სოფლის მცხოვრებთა ყრილობა, სადაც სოფლის რწმუნებულმა ბ. თ. ჯაჯანიძემ ყრილობას მოახსენა სამაზრო ერობის დადგენილება, რომლის ძალით სოფელს თანახმათ მისივე შუამდგომლობისა, მიენიჭა სასოფლო სკოლა. ბ. ჯაჯანიძეს არც კი დაუსრულებია მოხსენება, რომ უცბათ გამოდის ამ სოფლის მცხოვრები სპირიდონ გურაბანიძე და დამსწრეთ შემდეგი ხულიგნური სიტყვებით მიმართავს: „ხალხო, ნუთუ ვერ გაგიგიათ რომ მატყუარა მთავრობა სამი წელია ჩვენ ზურგზე მალაყს გადადის? აბა რა გაკეთა მან? შკოლა ჩვენში კი არა, საზოგადოების ცენტრში, ს. ზედშიაც უნდა დავამხოთ, რათ გვინდა სკოლა, როცა მარტო რვეულებისათვის ბავშს ოცი თუმანი უნდა? მე ქიათურაში მყავს ბავში და იქიდანაც უნდა გამოვიყვანოვო" და სხვა. ასეთ კონტრ რევოლიუციონერებისათვის ბ. გურაბანიძე იქვე დაატყვევა საზოგადოების კომისარმა ბ. გაფრინდაშვილმა და შესაფერი ოქმით გაუგზავნა სამაზრო მთავრობას, მაგრამ 4—5 დღის შემდეგ გურაბანიძე უკან მოდის და დასცინის ადგილობრივ მთავრობასა და მოლვაწეებს! რაშია საქმე? რათ გამოუშვეს ხულიგანი? ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ამის პასუხი მიიღოს განცვიფრებულმა საზოგადოებამ.

ძ. ქ.

---

**ალბულაღი.** ამ ბოლო დროს გაზეთებში ვხვდებით ცნობებს სულ ახალ ახალ ყაჩაღთა ბრბოების მოქმედების შესახებ ჩვენ ტერიტორიაზე. აქეთ ეხლა უარესი იქნებოდა, რომ ადგილობრივ მილიციის გაბედულ და ენერგიულ ზომებს არ გაეჭრა. წასულ კვირაში ერთ სახელგანთქმულ ყაჩაღთა გუნდს მოეღო ბოლო. საქმე იყო ასე: მილიციის უფროსს გ. კობიძეს მოუვიდა ცნობა, რომ ყაჩაღ „ფარზალის" თავისი ამალით განუზრახავს ერთ-ერთი სოფლის დარბევა. 8 ნოემბერს კობიძემ გაგზავნა თავისი თანაშემწე ვ. ქუთათელაძე 7—8 კაცით. ყაჩაღების კვალი გავიდა ხრამ გაღმა, ესენიც მიყვენ და ერთ ერთ სოფელში წააწყდა ყაჩაღებს. გაჩაღდა სროლა, ცნობილი ყაჩაღი ფარაზალი და იმისი ორი ამხანაგი მილიციას უმსხვერპლოთ ჩაუვარდათ ხელში. 10 ნოემბერს ალბულაღის სატუსაღოზე თავდასხმა დააპირეს ფარზალის მეგობრებმა, რომ ის გაენთავისუფლებიათ, მაგრამ ვერ მოახერხეს ყარაულების ყოჩაღური მეხვედრისა გამო. 11 ისინი თფილისში მიყავდათ თვით მილიციის უფროსს კობიძის თანხლებით. რომ მიატანეს ყოფილ მემამულე საგინაშვილის ტყეში, სწორეთ იმ ადგილს, სადაც შარშან დალეთხანის მემამულეებმა კომისრის თანაშემწე მ. დაულიანიძე მოჰკლეს, ატყდა ერთბაშად სროლა ჩასაფრებულთაგან. იღბლათ იქვე გზის პირზე თხრილში მილიცია ჩაწვა და პირველი ტყვია მიაყოლეს გაქცეულ ტუსაღ ყაჩაღებს. ორი იქვე მოკლეს, მათში „ფარზალიც", ერთმა კი თავს უშველა, მაგრამ მის მაგივრათ ერთი დამცემ თათართაგანი მოკვდა. მილიციის უფროსი ბ. კობიძე რაღაცა განგებამ იხსნა—ქუდში ტყვია მოხვდა და თმები შეატრუსა. უფროს მილიციონერ ს. დუმბაძეს ცხენი მოუკლეს და ფეხში ცოტა გაკრა ტყვიამ. დამცემლებმა დაატყვეს რომ საქმე ცუდათ მიდიოდა და გაქცევით თავს უშველეს. სროლამ ნახევარ საათს მეტს გასტანა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ალბულაღში ამ ჟამათ 1-ლი ცხენოსანთა პოლკის ერთი ესკადრონი დგას. სროლისაგან შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, ესკადრონი კი თავისი აფიცრებით ამ დროს არას ფიქრობდა. უცბათ კაცი მოიჭრა პოლკის უფროსის მოადგილესთან პოდპ. დიდებულიძესთან მოხსენებით. მილიციის უფროსს ყაჩაღები დაუხვდენ და 10—15 ჯარისკაცის მიშველებასა გთხოვსთ, რომ მათ უკან დაედევნოსო, მაგრამ ამ თხოვნაზე ასეთი პასუხი გასცა: სანამ სამხედრო მინისტრი არ დამრთავს ნებას, მანამ ვერას გიშველითო. უფროსების დაკითხვანებბართვაც კარგი არის, მაგრამ როდესაც ესეთი მოულოდნელი ამბავი დატრიალდება პოლკის სადგომ ადგილიდან ასე 5—6 ვერსის მოშორებით, დაუყოვნებლივ იარაღი უნდა შეისხას, მით უმეტეს, რომ ასეთ შემთხვევაში მთელ ბედს რამოდენიმე წუთი სწყვეტს და სანამდის თფილისს დაელაპარაკები, ისიც ნახევარჯერ ტელეგრაფის ხაზი არ მუშაობს, სანამდის თფილისში ტელეფონით მინისტრს მოძებნის და სხვა ამასობაში ყაჩაღი კიდევაც გავა ბორჩალოს მაზრაში და იქ კი უშიშარი ბინა მოეპოვებათ, რადგანაც იქ ადმინისტრაცია მგონი არ უნდა არსებობდეს ან და, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულებით არ უნდა მოქმედობდეს.

ქაიხოსროშვილი.

# თეატრი და ხელოვნება

30 ნოემბერს ქართული კლუბის დარბაზში ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნა ტრიფონ რამიშვილის ახალი ორიგინალური 3 მოქმედებიანი კომედია „სტუმართ მასპინძლობა". „კომედიის შინაარსი შემდეგია: ქალაქში მცხოვრებ შეძლებულ ალექსის, რომელსაც საკუთარი სახლიც კი აქვს, სტუმრებისაგან მოსვენება არ აქვს: ვინ არ გინდა, რომ ალექსის სახლში არ იყოს დაბინავებული—აქ ნახავთ „მოსოციალისტო" იდეალისტ-შანტაჟისტ ვიქტორს, ალექსის მამიდას თავის შვილის შვილით. უკანასკნელის აღზრდას მამიდა აკისრებს ალექსის, მამიდასვე მოყავს სოფლიდან ალექსის ბიძის შვილი ბოროტი პიროვნება, რომელსაც სურს მილიციაში დადგომა. ალექსის სახლში მოულოდნელათ გაჩნდება და ფლიდ ნიკიფორეს, ყოფილ მემამულე რეაქციონერ-პროკურორს თავისი კოპწია მეუღლით. მასპინძელი მეტის მეტად სუსტი ხასიათის პიროვნებაა, იგი ვერ ბედავს გადასდგას სათანადო ნაბიჯები და მოიშოროს მისი ოჯახობის ამრევ-დამრევი სტუმრები. ამ მხრივ ალექსის დიდ დახმარებას უწევს მისი მდგმური, რომელიც თავის ოსტატობით და მოხერხებით ანთავისუფლებს ალექსის არა სასიამოვნო სტუმრებისაგან. აი ეს სადა, მარტივი სიუჟეტი სავსეა კომიზმით, რაც საინტერესოს ხდის პიესას, რომელიც კარგის ცოცხალის ენით არის დაწერილი. ბევრი პერსონაჟთაგანი ტიპიურათ არის გამოყვანილი ავტორის მიერ. აქ ნახავთ თქვენ მემამულეს, ეგონებ პროკურორს, რომელიც ნაწყენია აგრარულ რეფორმით, მაგრამ მაინც სცდილობს არ გამოააშკარავოს თავისი რეაქციონერობა. როდესაც მას განგებ ეუბნებიან, რომ საქართველოში განზრახულია დასვან მეფე ირაკლი მესამეო, იგი სიხარულს ველარა მალავს. ჩვენში მრავლად მოიპოვებიან აგრეთვე ალექსის ბიძის შვილის მგზავსი ტიპები, რომელთაც მილიციაში სამსახური „გამორჩენის" საქმედ მიაჩნიათ. მეტის მეტად. ბუნებრივად აქვს ავტორს გამოყვანილი გაიძვერა ნიკიფორეს ტიპი. უნდა აღვნიშნოთ, რომ მაყურებელში სიცილს პიესაში ბლომად ნახმარი დამლაშებული სიტყვები კი არ უნდა იწვევდეს, არამედ—თვით მომქმედთა პირების კომიკურ მდგომარეობაში ჩაყენება.

ამ მხრივ სრულიად ეხამუშება ყურს ათასჯერ გაგონილი გვარები ჩაიფხანე შვილი და სხვა, რომელიც, არ ვიცი, ავტორის მიერ არის ნახმარი, თუ ჩვენმა მსახიობებმა მიაკუთვნეს ავტორს. თამაშის მხრით გვარიანად თამაშობენ ტასო აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი. ბუნებრივათ შესრულდა ნიკიფორეს როლი ხანდალამ. რაც შეეხება პიესის დადგმას, საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ ეს მხარე ჩვენი თეატრისა ყოველთვის მოისუსტებს. მართალია, შეუძლებელია კლუბის სცენაზე რომელიმე პიესის მხატვრულათ დადგმა, მაგრამ ზოგიერთ დეფექტების თავიდან აცდენა არც ისე ძნელია. მაგალითისთვის მივუთითებთ რეჟისორს იმ გარემოებაზე, რომ პირველი მოქმედება ხდება დღის 2 საათზე, სცენაზე კი ლამპებია გაჩირაღდნებული. მეორე მოქმედებაში ვახშამზეა ლაპარაკი, სცენაზე კი დღე არის. შეიძლება სთქვან, რომ ეს წვრილმანიაო, მაგრამ სწორედ წვრილმანები ჰქმნიან მთლიან შთაბეჭდილებას.

№ 75.

---

**ნაძალადევი.** 29 ნოემბერს რკინის გზის კულტურულ განმანათლებელ კომისიის დრამატიულმა წრემ ნაძალადევის თეატრში დასდგა შ. ბერიშვილის რეჟისორობით ცაგარლის 4 მოქმედებიანი კომედია „ხანუმა".

პიესა შეძლების დაგვარათ კარგათ იქმნა დადგმული.

გარი კახელმა ხანუმას როლი გვარიანად შეასრულა, თევზაძეს აკოფას როლში არა უშავდარა, მაგრამ ცოტას აჭარბებდა.

ქ ნი ლორთქიფანიძეს (სონა) უფერული სიარული ჰქონდა, მასთანვე ცოტაც სიცოცხლე აკლდა. ბ ნი კიღურაძე (კოტე) მოისუსტებდა. ქ ნი კამკამიძე (ქაბატოა) ღირსეულად ასრულებდა ნაკისრ როლს. ბ-მა გაბინაშვილმა ტიმოთეს როლი კარგათ შეასრულა. ბატ. სვანაძე (ფანტიაშვილი) როლში თავისუფლად ვერა გრძნობდა თავსა. დანარჩენნი ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

ადამხნის პირელი.

# წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 214 ნომერში დასტამბულია წერილი ი. აროშიძის, სადაც ის მოუწოდებს ქუთაისის ციხის ყოფილ 6 ტუსაღს ცნობა მიაწოდონ სინიდისის სასამართლოს ჩემ შესახებ.

ოთხი თვის წინეთაც ამნაირივე მოწოდებით მიმართა ბ. აროშიძემ „სოც. დემოკრატი"-ს პირველ ნომერში საზოგადოთ ყოფილ ტუსაღებს, მაგრამ რადგან არავინ გამოეხმაურა, ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ მე თვითონ ვუპასუხე „სოც. დემოკრატ" ს მეთექვსმეტე ნომერში.

ჩემზედ საჩივარი შეიტანა ქუთაისის ფერშალთა პროფესიონალურ კავშირში 1918 წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში ფერშალმა იპოლიტე ახალაიამ, ვითომც მე, როგორც ქუთაისის ციხეში ნამსახური მავნე პიროვნება ყოფილიყო ციხეში მყოფ პოლიტიკურ ტუსაღებისათვის არც მე, არც ჩემს ამხანაგებს ამ საჩივრისთვის ყურადღებაც არ მიგვიქცევია. (იმავე აგვისტოში ახალაია ქუთაისის სასურსათო კომიტეტის ხაზინადარზე თავდასხმისათვის დატუსაღებულ იქნა და 15 წლის კატორღა აქვს მისჯილი). ახალაიას აღმოუჩნდა თანამოაზრე ფერშალი ვახტანგ ჩიჩუა, რომელმაც ახალაიას ციხეში ჩამწყვდევის შემდეგ აწარმოვა ეს საქმე და ახლა დამხმარეთ უშოვია. ასე არკვევენ ჩემს და ქუთაისის ციხეში ყოფილ პოლიტიკური ტუსაღების დამოკიდებულებას და სინამდვილის გამოსარკვევათ საკმარისათ მიაჩნიათ ექვსი კაცის ჩვენება.

თუმცა მე მეტათ მიმაჩნია ზემოხსენებულ პირთა მიერ წამოყენებული ბრალდებების პასუხის და ანგარიშის გაწევა, მაგრამ თუ შემდეგშიაც არ დაიშლიან თავისას, იძულებული გავხდები შევაწუხო ის ქუთაისის ციხეში მყოფნი ნამდვილი პოლიტიკური ტანჯულები დაწყებული 1906 დან 1914 წლამდე და მივმართო მათ სინამდვილის გამოსარკვევათ, გამოსთქვან თავიანთი აზრი ჩემს მათდამი დამოკიდებულებაზე, რასაც მე კანონათ მივიჩნევ.

ექ. თანაშემწე თ. ჯინჭარაძე.

# ფოსტა

**ლიახვისპირელს.** შემოიარეთ რედაქციაში.

# განცხადებანი


**ექიმი დ. ა. ხარაძიძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აფთიაქისა(?) ახლო.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ „სორაპანი"-ს მიერ გამოცემული

**1920 წ.** კედლის— სახალხო— მოძრავი— **კალენდარი**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. უქმეები დალაგებულია ახალ სტილზე დეკ. კალისტრატე ცინცაძის მიერ. კალენდრებში სუყველა დღესასწაული უქმე დღეები დაბეჭდილია წითელი სალებავით. კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში შვიდფერი სალებავით.
მისამართი: თფილისი, სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძე. (4150—5—2)

# იყიდება

შემთხვევით იყიდება ვაკეზე, სემინარიის ახლოს 80 კვ. საჟ. მიწა. საჭირო ცნობებისათვის მიმართეთ: არ-... ქუჩა, № 10. (3133—6—2)

**ექიმი ა. დ. კაკაბაძე**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914". მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—23.

**ექიმი ქ. ტუმშელაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

**ექიმი ნ. ა. შამრანი**
სხეულებრივად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ... მისამართი: ... ქუჩა № 33.

**ექიმი დ. გ. ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

**ექიმი ქალი რ. ბ. ...-ხაზაშვილი**
მედიცინის დოქტორი ... უნივერსიტეტისა და ... კლინიკების ... იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფებს და იძლევა საბუთით ... (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

**ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

**ექიმი ა. ...**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათ. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

# ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. გართანოვი — ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. აპერაცია შეთანხმებით. „606" და „914". (2930—თ.)

**ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.**
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

**ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებით ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 10—12. (თ.—3023)

**ქალ. სამტრედიაში**
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)